საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 29 ნოემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 273 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 273

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 ნოემბერს, შაბათს, 12 საათზე, ქ. ოზურგეთში, ქალაქის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის დაუვიწყარ

მარო ნიკოლოზის ასულის იმნაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი მეუღლე ივანე ბესარიონის ძე იმნაძე პაწია შვილებით, დები: სონა და პელაგია შარაშენიძეები, ნინა ლომჯარიასი და სიძე თომა ლომჯარია. (ფ. 3—3)

გულდათუთქულნი დედა ნინო პეტრეს ასული, მამა სერგო ლავრენტის ძე, ბებია ელენე და ბაბუა ლავრენტი ქავთარაძეები შვილებითურთ, ბებია ნატალია წულაიაში შვილებით ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი უსაყვარლესი და დაუვიწყარი პირველთა პირმშოს პატარა

ვახტანგის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი კვირას, 30 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე ქ. ფოთში ადგილობრივ სასაფლაოზე. (3112—1—1)

ღრმათ დამწუხრებული დედა ელისაბედ პაპილას ასული, ძმები: ვასილი, დავით, ივანე და ნიკოლოზ გრიგორის ძენი, რძლები: ეკატერინე გრიგორის ასული და ოლღა ალექსანდრეს ასული, ბიძა თომა ივანეს ძე ონიკაძენი და სიძე ვლადიმერ ყარამანის ძე ბალაშვილი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ნოემბერს 1919 წელს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

გიორგი გრიგორის ძე ონიკაძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (19 თებერვლის ქუჩა, № 47), გამოსვენება მოხდება სამების ეკლესიაში. დაკრძალვა—პეტრე პავლეს სასაფლაოზე კვირას, 30 ნოემბერს 1919 წელს. (3113—2—1)

მეუღლე მინა ჯაყელის ასული ჩხიკვიშვილისა, ვაჟები: გრიგოლ, ევგენი და მირიან, ქალიშვილები: მარო, დარო, ელენიჩკა და ბაბო, სიძეები: მღვდელი სარდიონ ძნელაძე, ლადიკო მეგრელიშვილი, ვიქტორ ძნელაძე, რაჟდენ დუდუჩავა და გიორგი შარაშიძე, რძალი ოლიჩკა ბერიძის ასული ჩხიკვიშვილისა შვილებითურთ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნესტორ ესეს ძე ჩხიკვიშვილი

დასაფლავება 29 ნოემბერს საყვავის ტყის (გურია) ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. (3115—1—1)

ნოემბრის 30-დან კვლავ გამოვა

ყოველ-კვირეული იუმორისტული ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

რედაქცია მოუწოდებს ძველ მეგობრებს და ახალ თანამგრძნობებს, შემოკრბენ მის გარშემო და ძველებურის თავგამოდებით მოეკიდონ საქმეს.

დაბეჭდილ წერილებში (ვინც ამის სურვილს განაცხადებს) თანამშრომლებს მიეცემათ ჰონორარი.

ვიდრე რედაქცია საკუთარ ბინას აირჩენდეს, წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, „ერთობის“ რედაქცია, რუსთაველის პრ. № 24 („ეშმაკის მათრახისათვის“).

ჟურნალი ეღირება თითო ცალი 6 მანეთად.

ჟურნალს ხელმძღვანელობას გაუწევენ **ეშმაკი** და **თაგუნა**.

პროვინციის და თფილისელმა გამყიდველებმა უნდა მიმართონ კანტორა „განათლებას“.

(უფ. 2—2)

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

პალატის კომიტეტი აცხადებს, რომ ნოემბრიდან გაიხსნა პალატის ბინაზე, როვნულ საბჭოს ქუჩაზე № 11, (ფრეილინის ქ. 11, ტელ. 9—18). საკონსულტაციო და სავაჭრო განყოფილებანი საქართველოს ვაჭარ-მრეწველთათვის, სადაც განსაზღვრულ საათებში ყველა ვაჭარ-მრეწველს, განურჩევლად ეროვნებისა, შეუძლიანთ მიმართონ რჩევისათვის და ცნობების მისაღებად.

იურიდიული განყოფილება. ვაჭარ-მრეწველნი მიიღებენ ნაფიც ვექილისაგან სრულიად უფასოდ რჩევას ყოველგვარი სამოქალაქო საქმეების შესახებ, რომლებსაც ექნებათ დამოკიდებულება ვაჭრობა-მრეწველობასთან, დაუწერენ თხოვნებს, საჩივარს, განცხადებებს და სხ. წარსადგენად სასამართლოებში და სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში. განყოფილება ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა 11—2 ს.

სატეხნიკო განყოფილება. სატეხნიკო განყოფილებაში მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ რჩევა და ცნობები სრულიად უფასოდ როგორც შესახებ ახალ ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნისა, აგრეთვე არსებულის გაუმჯობესობისა, მანქანებისა, მასალისა; განყოფილება შეადგენს მოკლე გეგმებს ქარხნებისა და ფაბრიკებისას. დაახლოვებით ხარჯთ აღრიცხვას და სხ.

რთული კითხვები განხილულ იქნება ტეხნიკოთა საბჭოში, რომლის აზრი შეკითხველს მიეცემა წერილობით. ბიურო ასრულებს საზღვარ-გარეთ მყოფ (ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში) პალატის წარმომადგენელთა საშუალებით მსურველისათვის მოიპოვოს ყოველგვარი საჭირო ცნობები საქართველოში არსებული ანუ განზრახული მრეწველობისათვის.

ამგვარივე ცნობების მიღება შეიძლება სასოფლო სამეურნეო მრეწველობისათვის და მეურნეობისათვის.

სავაჭრო განყოფილება კისრულობს დავალებას ევროპიდან დაიბაროს საქონელი, ფასები, ნიმუშები, ცნობები, აგრეთვე მოძებნოს ევროპაში საქართველოს ნაწარმოებისათვის საუკეთესო ბაზრები, დაეხმაროს ვაჭარ-მრეწველთ მიწერ-მოწერაში (რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე).

თფილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით მიმართონ სამივე განყოფილებას სავაჭრო სამრეწველო პალატის სახელზე.

პალატას შეუძლიან მისცეს მსურველთ აგრეთვე **აგრონომიული რჩევა-დარიგება** 10—2 საათამდის. (3116—3—1)

გულდათუთქული დედა სალომე, ძმები: არკადი, დიომიდე და სევერიანე ქინქლეიშვილები, და ნინა, სიძე ალექსანდრე ჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 ნოემბერს წმინდა ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულთ დების

ელენესი და პარასკევასი (პაშა)

პირველის წლის თავის, მეორესი—ორმოცის. (3117—1—1)

გადატრიალება ყუბანში და რუსეთის რეაქცია

დღევანდელ გაზეთებში იბეჭდება დაწვრილებითი ამბები ყუბანიდან. ჩვენ თვალის წინაშე იშლება რესტავრაციების ცნობილი ისტორიული სურათები. პატარა ბონაპარტების ბრძანებით ხალხის წარმომადგენელთა კრებაზე თავდასხმა, შიგ ორგული ჯარის ერთგული ნაწილის შეყვანა, დეპუტატთა ხიშტებით გარეკა, მოწინავეთა დაპატიმრება და ბელადთა მოსპობა, კანონიერების დროებით შეჩერება და სამხედრო დიქტატურის გამოცხადება. ისტორია ხშირად მეორდება, ხოლო კიდევ უფრო ხშირად შემდეგი გარემოება ემჩნევა—პირველად ისტორიული მოვლენა შეიძლება დიდი ტრაგედია იყოს, ხოლო მისი გამეორება კი ფარსი გამოდის. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიაც ასევე იქნება. ისტორიულათ გახრწნილი და მკვდარი კლასის შაირახტარი დენიკინი ბონაპარტობას ვერ გასწევს. ისტორიამ უკვე გასწირა ფეოდალთა კლასი და მის ბელადსაც, რასაკვირველია, დაცინვით ეუბნება—„მაგრამ ვერ იქმნ თორნიკობას, თუმც მის ადგილს სულ ელიო“. დენიკინი ცდილობდა ამდენ ხანს სრულიად რუსეთის ბონაპარტობას. დიდი მსხვერპლი დაუჯდა რუსეთის ხალხს რეაქციონერთა ცდა და ზრახვანი. მაგრამ, „პომეშჩიკებმა“ ვერ შესძლეს რუსეთის დაავადმყოფებულ ორგანიზმის გამოჯანსაღება. ან კი როგორ შეიძლებოდა ასეთი „რამ—ისტორიული გახრწნილებისა და ლპობის სათავემ გაეჯანსაღოს და გაამრთელოს დაავადებული სახელმწიფოებრივი სხეული. დენიკინი მოსკოვს მიდიოდა, იქ, კრემლში უნდა მოეხდინა დიდი ისტორიული აქტი, მაგრამ ეს მოლოდინი დაუგვიანდა. ჯერჯერობით ცხენს ვერ მოერია და უნაგირი დაამტვრია. მოსკოვის მაგიერ ეკატერინოდარს დაჯერდა და წითელი მოედნის მაგიერ ციხის მინდორზე გამართა შავი ზეიმი. ხოლო ლენინის თავის ადგილს ჯერ კოლუბახოვის თავს დასჯერდა.

რუსეთის რესტავრაციას ჯერ ჟამისოდაც არ ქონდა გამარჯვების შანსები, მას შეეძლო და, ვინ იცის, კიდევ შესძლოს სრულიად ხან მოკლე სტრატეგიული სამხედრო გამარჯვება, მაგრამ პოლიტიკურათ მისი განმტკიცება ასე თუ ისე ხანგრძლივათ ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგრამ რაც დღეს დენიკინმა რეაქციას მარცხი და ზიანი მიაყენა ყუბანის გადატრიალებით, ამას ვერავითარი კომუნისტური წითელი არმია ვერ უზამდა მას. დენიკინის რეგვენმა პოლიტიკამ დაასამარა რესტავრატორების შავი საქმე და ანტიხალხური ზრახვა. ეკატერინოდარის „ბონაპარტებმა“ ნამეტანი ადრე ჩამოიხადეს ნიღაბი და თავიანთი ნამდვილი სახე გამოაჩინეს. ეკატერინოდარში მოხდა რეპეტიცია იმ სპექტაკლის, რომელიც განზრახული ქონდათ კოლჩაკ დენიკინს სრულიად რუსეთის სცენაზე დასადგმათ. ასეთი მათი განზრახვა საიდუმლო იყო ამდენ ხანს, რეაქციის გმირები წვერებზე ფეხს იდგამდენ, რას არ ჩადიოდენ, რომ ქვეყანასა და ევროპისათვის თავი დემოკრატებათ მოეჩვენებიათ. სწორეთ იმ დროს, როდესაც ყუბანის ტრაგედია სწარმოებდა, თურმე ბატონი ა. გუჩკოვი გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატს“ ინტერვიუს აძლევდა, რომელშიაც სხვათა შორის არწმუნებდა ევროპას, რომ „მომავალი პოლიტიკა რუსეთში უთუოთ დემოკრატიული იქნება. ეს პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ იქნება მიმართული ერთი რომელიმე პარტიის ან კლასის წინააღმდეგ. არც კოლჩაკი და არც დენიკინი არ გაბედავენ იარაღი ამ კლასების ხელში. დემოკრატიული უფლება და თავისუფლება უნდა ვრცლათ იქნას გატარებული. დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება... მხოლოდ მას აქვს უფლება გადაჭრას საკითხი ეროვნებათა და ახალ სახელმწიფოთა შესახებ“. (ხაზი ჩვენია) ასე მასლაათობდა და აცურებდა ყინულზე ევროპის საზოგადოებრივ აზრს რეაქციის აგენტი გუჩკოვი. რა იცოდა საბრალომ, თუ ამ დროს თავის ნებაზედ მიშვებული ბრიყვი რა ვნებას აყენებდა მათ „წმინდა საქმეს“, რას იფიქრებდა, თუ რა მასხარულ მდგომარეობაში აგდებდა მას ყუბანის ჯალათი, როგორ მოუვიდოდა აზრათ, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ბატონი გუჩკოვი ევროპის წინაშე დენიკინს დემოკრატიზმზე აფიცებდა, ეს რეგვენი ამ დროს ეკატერინოდარში ციხის მოედანზე დემოკრატიის მესვეურებს სახრჩობელას უშენებდა.

ყუბანის ეპოპეის შემდეგ ყოფილ რუსეთისა და რამდენიმეთ თვით ევროპის პოლიტიკაშიაც ახალი ხანა იწყება. ყოველგვარი დემოკრატიული ილუზიები დენიკინ კოლჩაკის შესახებ გაიფანტა. რუსეთის რეაქცია სრულიად გატიტვლდა. გუჩკოვის ზემოთ მოყვანილი ინტერვიუ, უთუოთ უკანასკნელია. ვიღას შეუძლია აწი გაბედოს და ევროპას ლექციები უკითხოს იმის შესახებ, რომ დობრარმია დემოკრატიზმის მოტრფიალეა. ცხრა იანვარს 1905 წელს მეფემ მეფობა მოკლა. წელს 20 ნოემბერს ეკატერინოდარში დენიკინმა დენიკინიზმს ლახვარი ჩასცა; უკანასკნელათ გაუტეხა მას სახელი ევროპაში. დაუკარგა გავლენა და ნდობა რუსეთის საშუალო წრეებში. შეაშფოთა და შეარყია თავის ჯარის სული და სიმტკიცე, რასაც უეჭველია ფრონტის დეზორგანიზაცია მოყვება; გადაიმტერა არა მარტო ყუბანის ხალხი, არამედ ყოფილი რუსეთის ყველა ერები და ტომები. არას დროს დობროვოლია არ ყოფილა ისე გამარტოხელებული, როგორც ყუბანის ტრაგედიის შემდეგ. და თუ დენიკინმა გაბედა ყველაფერი ეს, არა იმიტომ, რომ ის უკვე საკმარისათ ძლიერი იყო ამისთვის, პირიქით, ეს გახლავთ უფრო უძლურების, სასოწარკვეთილების „ჟესტი“.

შემოდგომის ბუზი მწარეთ იკბინება, სასიკვდილოთ დაჭრილი დათვი ხშირათ მეტ სიაფთრეს იჩენს და მეტ ზარალს აყენებს, ვიდრე ჯანსაღი. მართალია, ის განწირულია, ის წამხდარია, მაგრამ სხვისი გაფუჭება კიდევ შეუძლია. დენიკინი და დობრარმიაც მალე ისეთ მდგომარეობაში იქნება, რომ ის მომავალს მოკლებულ იქნება და ამიტომ „ყველაფერი ფეხებზე ეკიდება“.

ასეთ დროს ავანტიურიზმი შეიქნება მათი ცხოვრებისა და მოქმედების ბუნება. სასიკვდილოთ დაჭრილი დათვის მეზობლებს განსაკუთრებული სიფრთხილე და თადარიგი სჭირია. ქართველმა მონადირემ ეს კარგათ იცის.

ქართველ დემოკრატიამაც ეს მტკიცეთ უნდა დაიმახსოვროს.

შენიშვნები

IV

ქრთამი.

რამდენიმე კვირის წინ დამფ. კრებაში მთავრობას საჯაროთ შეეკითხნენ: ვანის საზოგადოებაში მიწების მიმღებმა კომისიამ ქრთამი აიღო. იცის თუ არა ეს მთავრობამ და თუ იცის, დანიშნა თუ არა გამოძიებაო.

მთავრობის წარმომადგენელმა საჯაროთვე უპასუხა: ასეთი ცნობა მივიღეთ. დანიშნულია გამოძიება და თუ დამტკიცდა—დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიანო. მას შემდეგ რამდენიმე კვირა გადის და ჩვენ დღესაც არ ვიცით გამოძიების შედეგი. ვიცით მხოლოდ, რომ გამოძიება მიენდო ქუთაისის ერობას.

რატომ ასე ჭიანურდება გამოძიება? განა ასე ძნელი იყო ვანში ჩასვლა? ჩვენ ველოდით, რომ ბრალდებული კომისიის წევრები მეორე დღესვე დეპეშებით აუწყებდენ ქვეყანას, რომ მათ ცილი დასწამეს, რომ არავითარ ამგვარს რამეს ადგილი არ ჰქონია, რომ ისინი თვით ითხოვენ სასწრაფოთ გამოძიებას და ასე თავის შელახული ღირსების აღდგენას. ჩვენ შევცდით. ისინი ჯერაც ჩუმათ არიან. თითქოს არაფერია! ბრალს სდებენ მექრთამეობაში, ნდობის და პატივის გროშებზე გაყიდვაში—ისინი კი ჩუმათ არიან!

სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო—ამბობენ. თუ ასეა გვინდა ვიცოდეთ—ვინ არიან ეს მექრთამენი და რომელ სატუსაღოში სხედან.

იქნებ ცილი დასწამეს? თუ ასეა გვინდა ვიცოდეთ—ვინ არიან ეს ცილის მწამებელნი.

ერთიც და მეორეც იმდენათ სერიოზულია, რომ საჭიროა მისი დაუყონებლივ გამორკვევა. საზოგადოებრივი ზნეობა იმდენათ დაეცა, დაკნინდა, რომ მის აღსადგენათ ბრძოლა ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი უნდა იქნას ჩვენს გარდამავალ ხანაში. ქრთამი და მექრთამეობა ისე სასტიკათ უნდა დაიგმოს და დაისაჯოს, რომ შესაძლებელი გახდეს როგორც ზნეობრივი გაჯანსაღება, ისე მართვა გამგეობის ორგანოების ამაღლება.

* * *

ქრთამების პერსპექტივა.

ქალაქმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, ზედ მეტი მცხოვრები ქალაქიდან უნდა გავიდეს. წინასწარი სიის შედგენა სახლის მეპატრონეებს მიენდო და აი ისინიც დაფაცურდენ. ჩვენ ხელთა გვაქვს მთელი რიგი მათი განცხადებისა. რა მოტივი გინდა რომ აქ არ იყოს მოყვანილი. ეს და ეს უნდა გადასახლდეს იმიტომ, რომ უქმათ დადის. მართალია ამბობს ვმუშაობო, მარა ეს არ უნდა იყოს მართალი. უჭირავს სამი ოთახი და მაძლევს რაღაც გროშებს. უნდა გადასახლდეს ეს და ეს, როგორც მტერი ჩვენი რესპუბლიკის. უჭირავს ორი ოთახი, მაშინ როცა ერთიც საკმარისია მისთვის. უნდა გადასახლდეს ეს და ეს, რადგან ქმარი მსახურობს ბორჯომში და ცოლი ხომ ქმართან უნდა ცხოვრობდეს! უნდა გადასახლდეს ეს და ეს, რადგან უჭირავს მთელი ბინა, მაშინ როცა მე, სახლის მეპატრონე უბინაოთ ვ.რ. თუ ჩვენია რესპუბლიკა, ჯერ მე უნდა ვისარგებლო, მერე—სხვამ.

სანიმუშოთ ესეც კმარა. სახლის მეპატრონეებს უნდათ დადგენილება თავის ბინების დასაცლელათ გამოიყენონ, რომ შემდეგ უფრო დიდ ფასებში გააქირაონ. რას დაგიდევს ის სხვის შევიწროებას, სხვის მწუხარებას! ოღონდ კი ორიოდე ზედ მეტი გროში აიღოს და სხვა თუ გინდ „წყალს წაუღია“. საბინო კომისიებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სახლის მეპატრონეების განცხადებებს და დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრან.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ის გარემოება, რომ, როგორც დაჟინებით ამბობენ, ყველა სპეკულიანტები და მართლაც არა სასურველი პირები ახერხებენ სახლის მეპატრონეების საშუალებით დადგენილებას გვერდი აუარონ. ამისთვის თურმე არავითარ ხარჯებს არ ერიდებიან. ასეთ შემთხვევებში ქრთამის აღების პერსპექტივა თურმე მეტად დიდია. კომისიის მოვალეობაა ამ პერსპექტივის შესაძლებლობა თავშივე ჩაჰკლას.

* * *

კომისრობის მოლოდინში.

ვინმე მეავანაძე ბორჩალოში კომისრათ იყო. იყო იმ დროს, როცა ბორჩალოს მაზრის მდგომარეობა მის მსუნაგობას ფრთებს უშლიდა. ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, თავდასხმა ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. ბატონი კომისარი ვითომ სდევდა ყაჩაღებს, ნამდვილათ კი თურმე მათთან კონტაქტში იყო და ნადავლსაც ინაწილებდა. გაიგეს თუ არა ეს—მაშინვე დაითხოვეს. მარა ბ. მეავანაძე მაინც არ დაიძრა ბორჩალოდან. მან მოისურვა ბორჩალოს მოქალაქეთ დარჩენა და დღემდის იქ ცხოვრობს. ცხოვრობს და განაგრძობს თურმე თავის საგმირო საქმეებს. მისი რეზიდენცია არის ეკატერინოფელდში და ცხოვრობს „უდარდელათ, უშრომლათ“! უკეთ, შრომობს სხვათა შორის იმაზეც, რომ როგორმე ისევ კომისრათ დააბრუნონ, და ისიც ხალხის მოთხოვნით. ამ მიზნით თურმე მისი საეჭვო ძმა ბიჭები გაცხარებულ აგიტაციას ეწევიან.

სათანადო უწყების მოვალეობაა სასწრაფო ზომის მიღება, რომ თუ ბ. მეავანაძე ნებით არ სტოვებს შეყვარებულ ადგილს, ძალით გამოისეირნოს და „მოქალაქეობა“ იქ მიეცეს, სადაც თვალყურის დევნებაც უფრო ადვილი იქნება...

განი.

ყუბანის რადის გარეკა

ყუბანის გაზეთები შემდეგი დამატებითი ცნობებს გადმოგვცემენ ყუბანის რადის გარეკისა და რადის წევრების დაპატიმრება—გასამართლების შესახებ.

რადის 6 ნოემბრის (ძველი სტილით) სხდომაზე ატამანმა გამოაქვეყნა ორი წერილი გენ. პოკროვსკისა, რომელიც მოითხოვდა კალაბუხოვის გაცემას და მოხალისეთა წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაციის მოსპობას. რადაში ამ საკითხმა გამოიწვია ცხარე კამათი. გენ. პოკროვსკისთან მოსალაპარაკებლათ წავიდა ატამანი, რომელმაც დაბრუნებისას განაცხადა: „რომ თუ რადა ნებით არ გასცემს კალაბუხოვს, სთქვა პოკროვსკიმო, მაშინ რადის ყარაულს აჰყრით იარაღს და კალაბუხოვს ძალით წავიყვანთო“. რადის სხდომა გაგრძელდა საღამოსაც. ატამანმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია წინააღუდგეს კალაბუხოვის გაცემას, რადგანაც ამას მოითხოვს გენ. პოკროვსკიო. სიტყვას იღებს თავმჯდომარის მოადგილე ივანე მაკარენკო, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ჩვენ ატამანი არა გვყავს, ამისათვის მთელი ძალა უფლება ყუბანში რადის და მისი პრეზიდიუმის ხელშია“. დარბაზში ასტყდა ხმაურობა. რადის წევრები ხმამაღლა ერთი ერთმანეთს შეეკამათნენ. ჯარების ატამანი თხოულობს სიტყვას. რადის წევრები მოითხოვენ მიეცეს სიტყვა ატამანს, რომელიც ადის ტრიბუნაზე და თავის სიტყვას ასე ამთავრებს: დამნაშავე თქვენი ატამანი კი არაა, აი ეს ხალხი არის დამნაშავეო“. გენ. ფილიმონოვმა ამ სიტყვების დროს ხელი გაიშვირა პრეზიდიუმისაკენ. დარბაზში ასტყდა ხმაურობა. ნაწილი წევრებისა გაიძახოდა, რომ „ჩვენ გვყავს ატამანიო“, მეორე ნაწილი კი იძახდა: „არ გვყავს ატამანი“. რადამ გადასწყვიტა სამ კითხვას უყაროს კენჭი: 1) ნდობას უცხადებს თუ არა ატამანს რადა, 2) უცხადებს თუ არა ნდობას რადა თავის თავმჯდომარეს, 3) როგორ უნდა მოიქცეს რადა? პირველი კითხვის კენჭის ყრამ სრულიად მოულოდნელი შედეგი მოიტანა. ატამანს სრული ნდობა გამოუცხადეს, წინააღმდეგ მისცა მხოლოდ ერთმა, ორმა თავი შეიკავა. მეორე წინადადებას, რომელიც შეიცავდა მაკარენკოსთვის ნდობის გამოცხადებას, აღარ უყარეს კენჭი. მაკარენკო, რომელიც არ მოელოდა ასეთ შედეგებს, აცხადებს, რომ ის იძულებული არის თავი დაანებოს თავმჯდომარეობას. მის ადგილს იკავებს სულთან შახიმ გირეი.

კალაბუხოვი, მეგობრების რჩევით, იღებს რა მხედველობაში, რომ რადას სურს მშვიდობიანი გზით საკითხის გადაწყვეტა. 6 ნოემბერს ჩაბარდა მთავრობას. ამ დღისათვის გენერალ პოკროვსკიმ დანიშნა ჯარების პარადი. ატამანის სასახლის წინ, ეკატერინის ქუჩაზე, იდგენ ყუბანის ცხენოსანთა რაზმების ნაწილები; პლასტუნები და ტყვიისმფრქვეველები გამწკრივდენ საკრებულოს ქუჩაზე. „ცენტრალურ“ სასტუმროსთან მოათავსეს ტყვიისმფრქვეველები. ჯარი იდგა აგრეთვე საზამთრო თეატრის წინ.

პარადის დაწყებამდე გენ. პოკროვსკიმ მოიხმო თავისთან ყოფილი თავმჯდომარე მთავრობისა ფ. ს. სუშკოვი, დ. ე. სკობცოვი და ზოგიერთი წევრ-

დღეს

თავდაცვის მინისტრის ნოსკეს აზრით, ძნელია იმის თქმა, გაიარა თუ არა გერმანიამ სპარტაკული რევოლუციის საშიშროება.

რუმინია აღნიშნავს მოკავშირეებისადმი გაგზავნილ საპასუხო ნოტაში, რომ მას არ შეუძლია უმაღლესი საბჭოს ყველა მოთხოვნილებათა შესრულება.

იტალიის ახლად არჩეული პალატა მუშაობას დაიწყებს დეკემბრის ექვსიდან.

ბელგიაში კათოლიკებსა და სოციალისტებს შორის მოლაპარაკება გრძელდება მთავრობის შედგენათ.

ესტონიის რესპუბლიკის მთავრობამ წინადადება მისცა იუდენიჩის მთავრობას, რათა მან დაუყოვნებლივ შესწყვიტოს მოქმედება ესტლანდიის მიდამოებში.

პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკება სწარმოებს ტყვეების გაცვლისა და სამოქალაქო მოხელეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

ბი რადის. გენერალ პოკროვსკიმ მოსთხოვა მათ რადის შვიდი წევრის გაცემა, მასთან ერთად გენ. პოკროვსკიმ გააფრთხილა ისინი, რომ თუ მისი მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული, იარაღს აყრი რადის ყარაულს და ძალით იქნებიან შეპყრობილნი რადის წევრებიო. მოისმინეს რა პოკროვსკის განცხადება, რადის წევრები დაუყოვნებლივ წავიდენ რადაში სათანადო მოხსენების გასაკეთებლად. პოკროვსკის წინადადების განხილვის დროს პეტრე მაკარენკო თხოულობს რიგ გარეშე სიტყვას და აცხადებს, რომ არ გვსურს რა მდგომარეობის გართულება, 7 წევრი რადის მზათ არიან თავის ნებით ჩაჰბარდენ მთავრობასო. დარბაზში ასტყდა საშინელი ხმაურობა. ტრიბუნაზე ადის პოლ. უსპენსკი, რომელიც აცხადებს, რომ გენ. პოკროვსკის ბრძანების თანახმად დაუყოვნებლივ უნდა განდევნილ იქნან რადის ყარაულებიო. ეს მოთხოვნილება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. დარბაზში შემოიყვანეს სოფიის სასწავლებლის იუნკრები, რომელთაც დაიჭირეს რადის ყარაულის ადგილები. პ. მაკარენკო, ვორობიოვი მანუილა, ომელჩენკო, პოდპოლნი, ბელი და პოლკოვნიკი ფესკოვი ავტომობილებით წაიყვანეს ატამანის სასახლეში და გადასცეს გენ. პოკროვსკის განკარგულებაში.

შეპყრობილი რადის წევრები 7 ნოემბერს, დილის 4 საათზე გაძლიერებული იუნკრების თანხლებით, წაიყვანეს საპატიმროში.

7 ნოემბერს დილით შეიპყრეს სულთან შახიმ გირეი. 7 ნოემბერს, დღის სამ საათზე ეკატერინოდარში ჩამოვიდა გენ. ვრანგელი, რომელიც დაესწრო ამავე დღეს რადის დახურულ სხდომას. გენ. ზვიანცევი, დოქტორი პრივალოვი და განათლების მინისტრი ცატოვიჩი გადადგენ თავიანთ თანამდებობიდან. მოსალოდნელია მთელი კაბინეტის გადადგომა. სულთან შახიმ გირეი და გენ გატაგოგ განთავისუფლებულ იქნენ სულთან კელეჩ გირეის თავმდებობით.

პოკროვსკის ბრძანებით უნდა შეეპყრათ: იგნე მაკარენკო, ბეზროვნი და პოლკ. გონჩაროვი, მაგრამ მათ გაქცევით უშველეს თავს. მათ შესაპყრობათ მიღებულია ზომები. ამავე დღეს გამოცხადდა თავის ნებით ბეზროვნი და გადასცა თავის თავი გენ. პოკროვსკის განკარგულებაში.

რადამ გამოიტანა დადგენილება, რომ ის გამოიმუშავებს ახალ საარჩევნო კანონს და შემდეგ ამისა შესწყვეტს თავის მოქმედებას. ახალი რადა უნდა მოწვეულ იქნას არა უგვიანეს 4 დეკემბრისა.

კალაბუხოვი სახრჩობელაზე

„ყუბანის სლოვო" სწერს: ციხის მოედანთან არაჩვეულებრივი მოძრაობაა.

დილიდანვე, ყოველ მხრიდან ჯგუფ-ჯგუფათ მოეშურება ხალხი მოედნისაკენ. შუა მოედანზე აღმართულია ბოძები, რომლის გარეშემო მუზივით ირევა ხალხი.

ჩვეულებრივ ყაყანს დღეს ვერ გაიგონებთ; მდუმარებას მოუცავს არე მარე —არც სიხარულს, არც დაცინვას და არც გაკიცხვას, დღეს ადგილი არ აქვს.

ბრბოზე სანახაობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას არ ძალუძს გამოხატოს თავისი შეხედულება და აზრი

ბოძების ხარიხაზე თოკით ჩამოკიდულია გვამი, რომელსაც ქარი ოდნავ არხევს, ჩამოხრჩობილის ჩოხას მეხლებამდის სწევს და თმას ოდნავ უშლის.

მოვა უცნობი, აცქერდება აღმართულ ბოძებს და მასზე ჩამოკიდებულ გვამს და იკითხავს:

ეს კალაბუხოვია?

რომელიმე მათგანს შეეკითხება თითქოს ძილშიაო და დაბალის ხმით უპასუხებს:

„დიახ, კალაბუხოვია".

და კვლავ მიაპყრობს თვალებს იმ ფიცარს, სადაც ქიმიკური ფანქარით დაწერილია:

„რუსეთის და ყუბანის ყაზახობის ღალატისათვის".

კიდევ ერთხელ შეხედავს გვამს და ჩაჩურავს [illegible]. დაქირავებლთა მიეშურებიან მოედნისაკენ მცხოვრებნი, რომელთა შორის ბევრი სამხედრო პირია, ნაკლებათ მოიჩინან რადის წევრები.

არც დამცველნი და არც დარაჯნი. ყველაფერი ასე უბრალოთაა. ხალხი კი დაუსრულებლივ მიისწრაფის მოედნისაკენ და ცდილობს ერთმანეთს გაუსწროს...

---

6 ნოემბერს შეპყრობილთა გარდა დაატუსაღეს რადის შემდეგი წევრები: პოლ. ფესკო, ბალაბასი, პოლიტოპელნი, ქუკი, პოლ. გონჩაროვი გენ ვრანგელის განკარგულებით ყველა დატუსაღებულნი გადაეცნენ სამხედრო საველე სასამართლოს. 7 ნოემბერს უკვე დაიწყო სხდომები სასამართლოსი. დამატებით მიღებულ ცნობებით შეუპყრიათ აგრეთვე რადის წევრი ი. ბელოი, პეტრე და პავლე რიაბოვოლები, ძმები განსვენებულ ნ. ს. რიაბოვოლის, ოფიცერი ფედერენკო, და 1 უბნის დაცვის უფროსი თავადი მაჩაბელი. და ყოფილი წევრი უფს დირექტორიისა ა. ა. არგუნოვი.

დამატებითი ცნობით სამხედრო საველე სასამართლომ მაკარენკოს, ომელჩენკოს და სხვებს, რიცხვით 11 კაცს, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, განაჩენი დასამტკიცებლათ წარედგინა გენ. ვრანგელს.

გაზეთ „სლოვო" შემდეგ ცნობას გადმოგვცემს, რომელიც რედაქციაში მისულ ერთ სტუდენტს უამბნია: აღნიშნული პირი როსტოვიდან ნოვოროსიისკისაკენ მგზავრობის დროს, 6 ნოემბერს (ძველი სტილით) მივიდა ეკატერინოდარში. აქ მატარებელი 7 ნოემბრის დილის 5 საათამდე გააჩერეს. სადგური გარშემორტყმული იყო ჯარებით: ქალაქი მოწყვეტილი იყო სადგურს.

იმ ცნობების თანახმად, რომლებიც სადგურამდე აღწევდენ, 6 ნოემბერს ღამით ქალაქს ირგვლივ ჯარი ერტყა. ტყვიის მფრქვევლებით შეიარაღებულ ჯარის ნაწილებს დაჭერილი ჰქონდათ ყველა გზაჯვარედინები, მოედნები და ქალაქის ყველა დიდი შენობები. აქა იქ იდგა არტილერია.

ასეთ მზადებას მიმართა მოხალისეთა ჯარმა იმიტომ, რომ იგი ელოდა რადის მომხრეთა შეიარაღებულ გამოსვლას, მთელი დღის (6 ნოემბ.) განმავლობაში ყოველ წუთში შეტაკებების დაწყებას მოელოდენ, იმიტომ, რომ ეკატერინოდარში მოსული ყუბანის ჯარი გაიყო ორ ნაწილად—ერთი ნაწილი მზათ იყო შური ეძია ყუბანის რადაზე, მეორე კი ამის წინააღმდეგი იყო.

ქალაქში ცხოვრება შესწყდა. მაგრამ არავითარ ბრძოლას და არც კერძო შეტაკებებს ადგილი არ ჰქონებია. რადის წევრები წავიდ-წამოვიდენ. გენ. ვრანგელის ბრძანებაში აღნიშნულ პირების დაჭერის მიზნით ქალაქში ხდებოდა მასიური დაპატიმრება. როგორც ამბობენ, დაპატიმრებულ იქნა 100 დე კაცი.

7 ნოემბერს გავრცელდა ხმები კალაბუხოვის ჩამოხრჩობის შესახებ. მთელი დღის განმავლობაში სამხედრო პოსტები არ მოხსნილა; სადგური ისევ მოწყვეტილი იყო ქალაქზე. საღამოს 5 საათზე მოვიდა ნებართვა დაკავებული მატარებლის გაშვების შესახებ.

---

7 ნოემბერს, დღის 2 საათზე, გენერალი ვრანგელი რადაში მივიდა. მას „ბრავო"-ს ძახილით შეეგებენ. გენ. ვრანგელი თავის სიტყვის დასაწყისში შეეხო ჯარების მოღვაწეობას და აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რომელსაც განიცდის ჯარი. მან აღნიშნა, რომ იძულებულ გავხდით მოღალატეები მოგვეშორებინა და გადაგვეცა სამხედრო საველე სასამართლოსთვის. გენ. ვრანგელის სიტყვას რადა ფეხზე ადგომით ისმენს. ვრანგელს ესალმება სოტნიკი ფილიმონოვი, რომელიც შეეხო რა ყუბანის მძიმე მდგომარეობას, სთხოვა გენერალს რადის სახელით, გაეუქმებინა თავისი ბრძანება და არ გადაეცათ შეპყრობილი დეპუტატები სამხედრო საველე სასამართლოსთვის. „ჩვენ თვითონ გავასამართლებთ მათ და რაც დაიმსახურეს მას მიუსჯითო".

გენ. ვრანგელის გამგზავრების შემდეგ რადამ აირჩია 3 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს სთხოვოს გენ. ვრანგელს, რომ შეპყრობილი დეპუტატები არ გადასცეს სამხედრო საველე სასამართლოს.

რადა არ განაახლებს თავის მუშაობას, რადგანაც გენ. ვრანგელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კანონმდებლობითი მუშაობა რადის ხელს უშლიდა ატამანს და მთავრობას ნაყოფიერი მუშაობა ეწარმოებინათო.

მოსალოდნელია მთავრობის გადადგომა. პრემიერებათ ასახელებენ ფ. ს. სუშკოვს და ი. ა. ლიტვინოვს. ფიქრობენ, რომ ატამანი ფილიმონოვი გადადგება, რადგანაც უკანასკნელათ მომხდარ კონფლიქტის დროს მან ვერ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე. ატამანის თანამდებობაზე ასახელებენ გენ. ნაუმენკოს.

ლაბინსკის ყაზახებმა შეიტანეს რადაში კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ამ ჟამათ იხილავს რადა მუხლობრივათ და თითქმის უკამათოდ იღებს. რადის სხდომებმა ყოველივე სიცოცხლის ელფერი დაჰკარგეს.

გენ. პოკროვსკის განკარგულებით არმავირში შეიპყრეს მ. ზაკლადნი და გორბუნოვი. შეპყრობილნი ეკატერინოდარში ჩაიყვანეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დახურა გაზეთი „კუბანსკაია ვოლია" სამხედრო მონარქიულ ორგანიზაციის დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის, რომელსაც ვითომ მიზნათ ჰქონოდა ყუბანში გადატრიალების მოხდენა. ამ დოკუმენტებში დახატული იყო მთელი მოღვაწეობა ამ ორგანიზაციისა. ეს დოკუმენტები გამოქვეყნებული იყო მანუილის მიერ რადის კრებაზე დახურულ კრებაში.

საღამოს, 7 ნოემბერს ყუბანის დელეგაცია ნოვოჩერკასკიდან ეკატერინოდარში გაემგზავრა.

ყუბანის დედა ქალაქში მომხდარმა ამბებმა, რაიც დელეგაციამ გაიგო რამდენიმე საათით ადრე თავის წასვლისას ერთიანად შესცვალა ყველა ანგარიშები ყუბანელებისა. დელეგაციის თავმჯდომარემ ბილაშოვმა „რუსაგენის" კორესპონდენტთან ბაასში შემდეგი განაცხადა: „წრე" (круг) ორი დღე იხილავდა ჩვენ საკითხს. პროექტი იმ რეზოლუციისა, რომელიც შეიტანეს წრის წევრებმა ყუბანში მომხდარ ამბების შესახებ, ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს. რეზოლუციის გამოტანა შეაჩერა დენიკინის მოსვლამ „წრეში". ეკატერინოდარში მომხდარ ამბების შემდეგ უაზრო ხდება ჩვენი იქ დარჩენა, მით უფრო, რომ მთავარ სარდლთან წავიდა ყუბანის განსაკუთრებული დელეგაცია.

დელეგაციაში, რომელიც გაემგზავრა გენ. დენიკინთან, შედიან ისეთი პირები, რომლებიც უკიდურესი მომხრენი არიან მთავარ სარდლობასთან შეერთებისა; ასეთებია საოლქო რადიდან—ყოფილი თავმჯდომარე საოლქო მთავრობისა თ. ს. სუშკოვი, მორევი, გრობოვი, შერბინინი, გენ. უსპენსკი, რომელიც ითვლება ჯარის ატამანის წარმომადგენლად და ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი ინჟ. ლაპკა.

7 ნოემბერს დელეგაცია მივიდა როსტოვში, საიდანაც ტაგანროგში გაემგზავრა

საოლქო რადამ გენ დენიკინთან მიმავალ დელეგაცია აღჭურვა შემდეგი დირექტივით: 1) საფრანგეთში მყოფ ყუბანის დელეგაციას ერთმევა ყოველგვარი რწმუნება, 2) ყუბანის საოლქო რადა კვლავ ადასტურებს თავის სურვილს ბოლშევიკებთან ბრძოლისას მოხალისეთა ჯართან ერთად, 3) გაერთიანებულ თავისუფალ რუსეთის აღდგენისათვის საჭიროა საერთო მთავრობა საზოგადო რუსეთში ყუბანის, თერგის და დონის ავტონომიის შენახვით. ამის გარდა დელეგაციას ევალება სთხოვოს გენ. დენიკინს შემდეგი: 1) გასამართლებულ იქნეს ყუბანის დელეგაციის წევრები, რომლებიც საფრანგეთში იმყოფებიან ყუბანის სასამართლოს მიერ, დენიკინის წარმომადგენლის მონაწილეობით თუ კი ამას მოითხოვს გენ. დენიკინი; 2) განთავისუფლებული იქნეს ყუბანის რადის წევრები და თუ ეს არ შეიძლება,—გასამართლებულ იქნენ ყუბანის სასამართლოში; 3) გადაეცეს ყუბანის ზურგის ნაწილების უფროსობა ყუბანის ჯარის ატამანს. რეზოლუციის თვითეულ პუნქტს ცალ ცალკე უყრიან კენჭს; შემდეგ ერთხმად ღებულობენ. მთელი ქალაქი ქუჩაზეა გამოსული.

გენ. პოკროვსკის ბრძანებით დაბეჭდეს მთავრობის მეორე სტამბა გაზეთ „ყუბანის ვოლიას" ნაცვლად გამოვა გაზეთი „ვოლია", დახურულ გაზეთ „გოლოს ყუბანის" მაგივრათ გამოვა „კაზაჩია დუმა".

რადის მიერ თერგში გაგზავნილი დელეგაცია დაბრუნდა, რომელსაც უნდა მოხსენება გაეკეთებინა თერგის ოლქის „კრუგისათვის" გენ. დენიკინის უკანასკნელი ბრძანების შესახებ. დელეგატების გადმოცემით თერგის ოლქის „კრუგს" მოუსმენია რა მოხსენება, ჯერ-ჯერობით არავითარი დადგენილება არ მიუღია.

გენ. დენიკინს წარუდგა ყუბანის დელეგაცია, რომელსაც დენიკინმა განუცხადა, რომ ყოველივე კითხვის გადაწყვეტა დავალებული აქვს გენ. ვრანგელს

ოფიციალურათ დადასტურდა ბეზკროვნის შეპყრობა, რომელმაც ვერ მოასწრო ქალაქიდან გასვლა და იძულებული შეიქნა თავის ნებით გამოცხადებულიყო გენ. პოკროვსკისთან.

დონის ჯარების „კრუგი" ყუბანში მომხდარ ამბების შესახებ.

ნოვოჩერკასკში შესდგა სხდომა „კრუგის", სადაც ყუბანის დელეგატებმა მოხსენება გააკეთეს მომხდარი ამბების შესახებ და გააცნეს „კრუგს" მეჯლისთან დადებული ხელშეკრულება. ყუბანის დელეგატებს უპასუხებს პოლ. ბოროდინი, რომელიც ეხება რა მეჯლისთან დადებულ ხელშეკრულებას, აქვეყნებს ბოლშევიკების საიდუმლო ინსტრუქციას, რომლითაც მოუწოდებენ თავიანთ კომისრებს ყოველივე შინაური უთანხმოება გამოიყენონ მათ ბოლშევიკებისთვის სასარგებლო სადგიტაციო მიზნებით. „კრუგი" ადგენს მოუსმინონ აგრეთვე მთავარსარდლობის წარმომადგენლებს და მაშინ ექნებათ საშუალება გამოსთქვან თავიანთი შეხედულება ხელშეკრულების შესახებ.

ჯარის „კრუგი"-ს სამ უკანასკნელ დახურულ სხდომაზე ირჩეოდა ყუბანის დელეგაციის განცხადება, რომელიც გენ. დენიკინისა და ვრანგელის ბრძანებებს შეეხებოდა. სიტყვები სთქვეს პ. აგეევმა, ბ. ულანოვმა, გ. იანოვმა, პ. სკაჩკოვმა, პ. კოვალევმა და სხვ ყველაზე მეტი შთაბეჭდილება აგეევისა და ულანოვის სიტყვებმა იქონია. უკანასკნელ დახურულ სხდომაზე 6 ნოემბერს სიტყვა წარმოსთქვა დონის ატამანმა გენ. ბოგაევსკიმ. მის გრძელ სიტყვას ზომიერება ეტყობოდა; იგი მოუწოდებდა რადას სიმშვიდისაკენ.

6 ნოემბრის (ძველი სტილით) საღამოს სხდომაზე პრეზიდიუმის დადგენილებით სხდომიდან დათხოვნილ იქნა გარეშე საზოგადოება და პრესის წარმომადგენლები. ამ დღეს განზრახული განხილვა რეზოლუციებისა არ მომხდარა.

7 ნოემბერს ყუბანის დელეგაციის მოხსენების განხილვის შემდეგ წარმოდგენილი იქნა რამდენიმე რეზოლუცია. ერთი რეზოლუცია ზომიერ ფორმაში მოითხოვდა ყუბანის რადისთვის მხარის დაჭერას. ბოლოს გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს ნუ იქნება გამოტანილი დადგენილება მანამდე, სანამ საკანონმდებლო რადა არ გამოარკვევს თავის დამოკიდებულებას ხსენებულ საკითხთან. გაზ. „პარუს"-ის ცნობით პირველ რეზოლუციას მეტის თანაგრძნობით ხვდებიან.

დენიკინი ყუბანის ამბების შესახებ.

„კრუგის" დახურულ სხდომაზე გენ დენიკინმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც თავისი ბრძანების შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა:—მე დამნაშავე ვიქნებოდი, რომ ეს ბრძანება არ გამომეცა.

განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გენერალის განცხადებამ, სადაც მოითხოვს „პოლიტიკური თამაშის" დავიწყებას და მტკიცე მთავრობის შედგენას. გაზ. „პარუს"-ის ცნობით გენერალს „კრუგი" აღფრთოვანებით შეხვდა და ოვაციები გაუმართა. დენიკინის სიტყვა 1 საათი გაგრძელდა. იგი შეეხო მდგომარეობას ფრონტზე და განაცხადა, რომ თუ ქვეყნის ყველა მოქალაქენი შეიგნებენ მომენტის სერიოზულობას,—ბოლშევიკებს დავამარცხებთო

დენიკინის „სამეფოში"

ორი დღის წინად თფილისში ხარკოვიდან ჩამოსულმა შემდეგი გვიამბო: დენიკინსა და საერთოდ ყაზახობას შორის მდგომარეობა გამწვავებულია. ჯერ კიდევ ხარკოვის აღებისთანავე ყაზახები მოითხოვდენ სახლში დაბრუნებას: დავიღალენით, მეტი ძალა აღარ შეგვწევს, ამასთან, ჩვენს მიზანს არ შეადგენს ბოლშევიკებთან დაუსრულებელი ბრძოლა, ჩვენი ტერიტორია გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან, ახლა სახლში უნდა დავბრუნდეთ და ჩვენ ქვეყნიურ საქმეებს უნდა შევუდგეთო. ასეთი მიმდინარეობა ყაზახობაში იმ თავითვე ძლიერი იყო. დენიკინის სარდლობა, რა თქმა უნდა, ყურად არ იღებდა ამას, რასაც მოჰყვა ფრონტიდან ყაზახების ერთი ნაწილის თავის ნებით სახლში წასვლა. დაიწყო არა თუ კერძო ხასიათის დეზერტირობა, არამედ—მთელი რაზმები გარბოდენ და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდენ,—განსაკუთრებით დონის ყაზახობა, შემდეგ ყუბანის ყაზახობაც ამავე გზას დაადგა ამ მოვლენამ საერთოდ ცუდი გავლენა იქონია დენიკინის ჯარზე: შეირყა დისციპლინა. ოფიცრობის ყოფა-ქცევამაც ხელი შეუწყო ფრონტის დაშლას. მოხალისეთა ჯარში მოგროვილი ოფიცრობა ძველი თვითმპყრობელობის მომხრე ხალხია. ამას ისინი აღარ მალავენ, აშკარად ლაპარაკობენ ის მოქმედობს ჯარზე, რომელზედაც არ შეიძლება საერთოდ ითქვას, რომ თვითმპყრობელობის მომხრენი იყვნენ.

მოხალისეთა ჯარის შესვლის პირველ დღეებში ასე თუ ისე ქალაქებში წესრიგი იყო. ხალხსაც ეს მოსწონდა. ახლა სულ სხვა სურათია. ყოველ ქალაქში და სადგურებზე მრავლად შეხვდებით მთვრალ ოფიცრებსა და სალდათებს. სროლა, ჩხუბი, ძარცვა გლეჯა, კაცის კვლა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა! ხალხსაც გული გაუტყდა მოხალისეებზე. ბოლშევიკებთან შედარებით დიდი სიკეთე არც ესენი ყოფილანო, ამბობენ.

ხარკოვიდან წამოსვლისას იქ დიდი პანიკა იყო. ბოლშევიკები კურსკზე უტევდენ. მოხალისეები იხევდენ. ხარკოვიდან, ვისაც კი შეეძლო, გარბოდა.

თვით ხარკოვში ცხოვრება აუტანელია: არ არის წესრიგი, არ არის სურსათი, სათბობი მასალა. შეშა ფუთი 60 მანეთი ღირდა, მოელოდენ ფასის აწევას. ანტრაციტი, ქვა-ნახშირი სრულიად არ იშოვება. მაღაროებშიც არ არის ბლომათ დამზადებული. რაც არის, ისიც ვერ გამოუტანიათ ორთქლმავლებისა და ვაგონების სიმცირის გამო. რკინის გზის მოძრაობაც სისტემატიური ხასიათი არ აქვს. უკანასკნელათ პურიც გაძვირდა—8—9 მანეთი ფასობდა გირვანქა.

ყველა ამ უბედურებას ემატება მოხალისეთა ყოყლოჩინობა: რომ ისინი აღადგენენ დიდ რუსეთს არა თუ პოლონეთ ფინლიანდიის შემოერთებით, არამედ—გალიციისაც შეიერთებენ. ასე ლაპარაკობს განსაკუთრებით ოფიცრობა. ხალხის უმრავლესობაზე ეს მოქმედობს, ნერვიანობს საზოგადოება, ვერ მოუსვენია...

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ უცქერის ხალხის მასსა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს, საერთოდ და კერძოთ საქართველოს, მოსაუბრემ გვიპასუხა: ხალხი თითქოს შეურიგდა ამ რესპუბლიკების რუსეთისაგან ჩამოშორებას, არავითარ წარმოუდგენლს ამაში არ ხედავს. ხალხის ფართო მასსას ერთად ერთი ესაჭიროება: მოსვენება და მშვიდობიანი შრომა. ვინც ამაში ხელს უშლის, ხალხი მხოლოდ იმისი მტერია, მაგრამ ძლიერია ხალხში მოხალისეთა აგენტების აგიტაცია, პრესის თუ ზეპირი საშუალებით: უსისინებენ ხალხს ებრაელების, ახალი რესპუბლიკების წინააღმდეგ და არ შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ ჩამორჩენილ რაიონებში გასავალი არ ჰქონდეს მათ მუშაობას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რამდენათ მოხალისეები სწამლავენ ჰაერს, იმდენათ მათვე გაუჭირდებათ სუნთქვა. ამის ნიშნები უკვე არის. ყუბანის რადის გარეკა, საზოგადო მოღვაწეთა დახვრეტა დაპატიმრება აგრე ყრუდ არ ჩაივლის. საგრძნობ ძალას წარმოადგენს უკმაყოფილო ყაზახთა რიცხვი, რაც მომხდარი ამბების შემდეგ, ეჭვი არაა, კიდევ უფრო გაიზრდება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის საკანტროლო კომისიის სხდომა

◆ **წყალდიდობა სამტრედიაში.** სამტრედიიდან დეპეშით შემდეგს იტყობინებიან: ორი დღის დიდმა წვიმამ ძლიერ გაადიდა მდ. რიონი, ცხენის წყალი, მთის პატარა მდინარეები. ხონის მხრიდან სამტრედიის მოიწვა ცხენის წყალი აღმოსავლეთი ნაწილი წყალშია, პირველ და მეორე ქუჩაზე ერთი ადლის სიმაღლე წყალი დგას. მცხოვრებლები აუტანელ მდგომარეობაში არიან, წაღებულია ღომეები, ზოგი საქონელი. სამტრედიის თვითმართველობას მარტო არ შესწევს ძალა ამ სტიქიას ებრძოლოს, საჭიროა სახელმწიფოებრივი მასშტაბით დახმარება.

◆ **ელექტრო-სადგურის** ყოფილი „არტელშჩიკი" აკოპჯანოვი 5,537 მან. 25 კაპ. კასის ფულის მითვისებისათვის ქალაქის გამგეობამ პასუხისგებაში მისცა.

◆ **სომხეთში შეტანილი საქონელი.** 1 მაისიდან 15 ნოემბრამდე სომხეთში კერძო პირებს შეუზიდავთ 64,403,000 მან. სხვადასხვა საქონელი. 1 მაისიდან 1 ნოემბრამდე სომხეთის სასურსათო სამინისტროს შეუტანია 13,113,200 მანეთის. 15 აპრილიდან 10 ნოემბრამდე ამერიკელთა კომიტეტს 332,620,000 მან. 10 მარტიდან 20 ნოემბრამდე სომხეთიდან გაუტანიათ 5,000,000 მანეთის საქონელი.

◆ **„დაშნაკცუტიუნის"** ცენტრალურ კომიტეტს უარი უთხრა ქალაქის გამგეობამ კაფე „უნიონი" სთვის ს. ტატეოსიანის სამკითხველოს ბინის რეკვიზიციაზე.

◆ **ხელოვნების კომისიაში.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ განიხილა ხელოვნების ყველა დარგის გაერთიანების და მისი გასახელმწიფოებრივობის საკითხი და დაადგინა: მოხდეს გაერთიანება და დაარსდეს ორი საბჭო. პირველი შესდგება არსებულ სამუზეუმო საბჭოსაგან და ხელოვნების სათანადო დარგებიდან აღნიშნულ წარმომადგენლებისაგან და განაგებს სამუზეუმო, სამხატვრო და სხვა დარგებს. მეორე საბჭო არსდება დრამატიულ თეატრის გამგე საბჭოსაგან და ხელოვნების [illegible] რომელიც დაექვემდებარება განათლების სამინისტროს. სათანადო კანონ პროექტის შესამუშავებლად არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან: გომართელი, საყვარელიძე, თაყაიშვილი და შევარდნაძე.

◆ **ახალციხიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: 22 ნოემ. შეკრებილი ახალციხის ს.-დემ. ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის, ცენტ. კომ. მესხეთის დემოკრატია ირაზმება და დგება იმ ინტერნაციონალური დროშის ქვეშ, რომელიც ასე მაღლა უპყრია საქართველოს მშრომელ ხალხს. თავმჯდომარე—ალიხანოვი.

◆ **ქართ. საოპერო სტუდია** შეუდგა ზ. ფალიაშვილის ოპერის—„აბესალომ და ეთერის" შესწავლას. რეპეტიციები ყოველდღიურათ სწარმოებს. „თქმულება შოთა რუსთაველზე" ამ მოკლე ხანში დაიდგმება

◆ **დრამატიული სტუდია.** მომავალ ოთხშაბათს დაიდგმება პიესა „ივერიძის ოჯახი", რომლის შინაარსიც აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან და ნათლად გამოჰხატავს დღევანდელ ოჯახის სიმახინჯეს.

◆ **ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის** დათვალიერება შეიძლება ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 10—2 ს. ხოლო კოლლექციების და სხვა ნივთების დაწვრილებითი გაცნობა —ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—2 ს. მუზეუმის დათვალიერებისათვის და სარგებლობისათვის შემუშავებულ წესებს მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ მუზეუმში (მტკვრის სანაპირო, ვერის ხიდიდან, № 9).

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ფულს არ გვიგზავნიან, ამიტომ ხვალიდან უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები: ხიდისთავში და საჯევახოში. ყოფილ აგენტებს უკანასკნელათ სთხოვენ გამოგზავნონ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში 15 დღის შემდეგ მათი სახელი და გვარი გამოცხადდება გაზეთებში და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა, თფილისის კავშირების სეკრეტარიატის ბინაზე.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. თფილისის ქალაქის კომიტეტისა და ყველა რაიონული ორგანიზაციების შეერთებული კრება. მოხსენებას გააკეთებს ი. ჟორდანია.

— დღეს, საღ. 6 ს. ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კრება შესდგება. (19 თებერვლის ქ. № 9).

— 29 ნოემბერს საღამოს 5 ს. მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია კოოპერატივ აღორძინების რწმუნებულთა ს. ს. დ. მ. პარტიის ფრაქციული კრება.

— კვირას 30 ნოემბერს დილის 9 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის I აუდიტორიაში დანიშნულია სამკურნალო ფაკულტეტის I, მე II და III კურსელ სტუდენტთა კრება.

პროვინციის ქრონიკა

გორი. ორშაბათს, საღამოს 5 საათზე, გორში შესდგება მაზრის სოც. დემ. ორგანიზაციების ცენტრის სასწრაფო სხდომა იმ საკითხების გასარჩევად, რომლებიც დაკავშირებულია მაზრაში მომხდარ ამბებთან. განსახილველი იქნება აგრეთვე საკითხი სამაზრო პარტიულ ყრილობის მოწვევისა. ყველა წევრების დასწრება აუცილებელია. სასურველია აგრეთვე დაესწრონ ერობის სოც.-დემ. ხმოსნები და სხვა მოწინავე ამხანაგები. სხდომა გაიხსნება ცენტრის ბინაზე (ერთობის ქ. № 15).

დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

28 ნოემბერი.

გერმანული პრესის ცნობები.

სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა მოსკემ „ტელეგრაფის უწყების" გამომცემელთან საუბარში შემდეგი განაცხადა: „ძნელია იმის თქმა, გაიარა თუ არა გერმანიამ სპარტაკულ რევოლუციის ყოველგვარი საშიშროება ეკონომიურათ ჩვენ დღეს მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. წესრიგი და საზოგადოებრივი მშვიდობიანობა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე დამყარებული. ყველაზე უფრო ჩვენ გვაფიქრებს რკინის გზის მიმოსვლა, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს საკმაოთ გავიტანოთ სახლვარ გარეთ ნახშირი და სურსათ-სანოვაგე, გერმანიის ხალხის უდიდესი ნაწილი უკმაყოფილოა თანამედროვე მდგომარეობით ჯარების უმეტესი ნაწილი დღემდის არ

ავს თავის სურვილს, რომ გერმანიაში რამდენიმე მონარქია იხილოს ...ნილი, ამავე დროს ოფიცერთა ...ვსობას მიზნათ აქვს სახელმწიფო...რიგის დამყარება. გერმანიის დე...ატიულ რესპუბლიკის მომავალი ...ვრესად იმ ზეგავლენაზეა დამოკიდებული, რომელსაც ანტანტა ახდენს ...მანიაზე ომის გამო ევროპა იმდენად დაშლილია, რომ ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამა, თუ იმ ...ლმწიფოს დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკა. შესაძლებელია ...ლოდ საერთო ევროპიული პოლიტიკის წარმოება. გერმანია დღეს გა...ერთლების გზაზეა, მაგრამ სრული ...რჯება მხოლოდ ანტანტის გერმანიისადმი დამოუკიდებლობაზეა დამყარებული.

...ტალიური გაზეთების ცნობით ახლად არჩეული პალატა მუშაობას 6 დეკემბრიდან დაიწყებს.

...ეგვიპტის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ვილსონს დეპეშა გაუგზავნა ...ს შესახებ, რომ ეგვიპტელები ძლიერ ...ღელვებულები არიან ინგლისის ჯა...ა ბარბაროსული მოქმედებით. ეგვიპტის ხალხმა მტკიცეთ გადასწყვიტა ...ხდროს არ ალიაროს ინგლისის ბატონობა.

...პოლონიესა და საბჭოთა რუსეთის ...ავრობის შორის მოლაპარაკების გამო ...ყებიან, რომ 25 ნოემბერს მოხდა ...მისიის სხდომა ტყვეების გაცვლა-...ოცვლის წესრიგის შესამუშავებლათ ...სამოქალაქო მოხელეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

...უდაპეშტში უკვე იციან შინაარსი ...მანიის საპასუხო ნოტისა, რომელიც ...ზავნათ პარიზში უნდა გაიგზავნოს. ...ტაში ნათქვამია, რომ რუმინიას არ ...ძლია უმაღლესი საბჭოს ყველა ...თხოვნილებანი შეასრულოს. ბუდაპეშტი და უნგრეთის ოლქები, რომლე...ტისის მარჯვენა ნაპირზე იმყოფე...ნ, უკვე განთავისუფლებულია, მაგრამ ...მინიის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია ტისის მარცხენა ნაპირის ...თავისუფლებისა. რაც შეეხება მცირე ...ოვნებათა ინტერესების დაცვას, რუ...ია ამის შესრულების პირობას იძლევა და იგი და აჩქარებს სათანადო კა...ნ-პროექტი შეიტანოს პალატაში. ბე...რაბიის შესახებ რუმინიის მთავრობა ...ვიდის გამოსთქვამს დათმობაზე წა...ეს. იგი მზათ არის აგრეთვე გერ...ნულ ავსტრიასა და ბულგარეთთან ...ზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწე...ს.

...კანონ-პროექტი მუშათა საბჭოების ...სახებ ნაციონალურ კრებაში შობამდე ...იხილება. პრესა ამ კანონ პროექტს ...ურეს, როგორც დიდ დაბრკოლებას ...ავრობის ბლოკის შენარჩუნებისათვის. უდიდესი სიძნელე ამ კითხვაში მდგომარეობს: აქვს, თუ არა საბჭოს საწარმოვო დაწესებულებებში კანტროლის უფლება. იმ დროს, როდესაც სოციალ დემოკრატები ამას აუცილებლად მოითხოვენ,—ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები ამ მოთხოვნილებას კატეგორიულად უარყოფენ. ცენტრი პირობით მხარს უჭერს ამ მოთხოვნილებას.

ლიონის რადიო სადგურის ცნობა

ბრიუსელიდან გვატყობინებენ: პალატისა და სენატის მემარჯვენე პარტიებს ჰქონდათ მეტად საყურადღებო სხდომა: სხდომაზე ირჩეოდა პარტიის პოზიცია მთავრობის კრიზისის დროს. დელაკრუამ ჯერ ჯერობით ვერ შესძლო დაერწმუნებია კათოლიკეები და სოციალისტები კაბინეტში შესვლაზე.

ფრანგული კრების ცნობები.

მოსკოვის რადიოს ცნობებით, იქ ანარქისტების შეთქმულება აღმოუჩენიათ. ეჭვი აქვთ კადეტების და ნაციონალური ცენტრის შეთქმულების არსებობაზედაც.

ვაშინგტონში გამოვიდა ტაფტისა და ხუვერის მიერ ხელმოწერილი მოწოდება სამშვიდობო ლიგისა, სადაც დაგმობილია ის უაზრო გადაწყვეტილება, რომლითაც რატიფიკაციის მოწინააღმდეგე 15 სენატორი 80 სენატორს იმორჩილებს და საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საქმეს აბრკოლებს.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ნოემბრის 27. სამხედრო ცნობა: ნარვის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება. დვინის და პლოცკის რაიონში მზვერავები მხნეთ მოქმედებენ. კიევის რაიონში ფასტოვის ხელში ჩასაგდებად ბრძოლაა. სუმის რაიონში სად. ვოროჟბას რაიონი დავიჭირეთ. ჩვენ ქალაქი სუჯა ავიღეთ. ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ქალაქი ობოიანი აიღო, რკ. გზის ხაზზე და ქალაქის სამხრეთისაკენ შეტევას განაგრძობს. ვალუიკის მიმართ. ჩვენმა ცხენოსნებმა ქალაქი ნოვო-ოსკოლი აიღო. პავლოვსკის მიმართულებით ბობროვის სამხრეთ დასავლეთით 15 ვერსზე და ზუბუტურლიკოვკასთან ბრძოლაა. აქ მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრ-იერიშებს აწარმოებს. ნოვოხოპერის სამხრეთით 20 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ურიუპინო კალაჩის მიმართულებით კლაჩის აღმოსავლეთით 30 ვერსზე მტერი დავამარცხეთ. ქვემო ხოპრზე ჩვენ ბრძოლით სადგური უსტ-ბუზულუკსკაია ავიღეთ. ცარიცინის მიმართულებით ვოლგას მარჯვენა ნაპირზე ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება.

რეველი. ნოემბ. 26. ავტორიტეტიული წყაროების ცნობით ესტონიის რესპუბლიკის მთავრობამ წინადადება მისცა რუსეთის ჩრდილოეთ დასავლეთის მთავრობას ესტლიანდიის მიდამოებში შესწყვიტოს მოქმედება.

ლიონი, ნოემ 26. კოპენჰაგენიდან მოსული ცნობით 25 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის დელეგატ ლიტვინოვისა და ინგლისის დელეგატ ო-გრედის შორის თათბირი მოხდა. შემდეგი თათბირი მოხდება მას შემდეგ, რაც დელეგატები თავის მთავრობას მოელაპარაკებიან.

უცხოეთი

რუსეთი

იაპონელი ოდესაში. მოხალისეთა სარდლობასთან მყოფმა იაპონიის წარმომადგენელმა, ოდესის დათვალიერების შემდეგ გაზეთების თანამშრომლებთან განაცხადა: „ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა ოდესის დათვალიერებამ. ქალაქი, რომელიც დღემდე ვაჭრობა მრეწველობის ცენტრათ ითვლებოდა, დღეს სავსებით მკვდარ ქალაქს დამსგავსებია“.

შიმშილის შიში დენიკინის „სამეფოში“. პროფეს. ანციფეროვის გამოანგარიშებით ცენტრალურ რუსეთისა და უკრაინის გუბერნიებში მიწების ერთი მესამედი ნაწილი მოუხვნელი დარჩენილა; დათესილია მხოლოდ მიწების 3—4 პროცენტი. გაზაფხულის ნათესები ისე მცირეა, რომ ამით ყოვლად შეუძლებელია აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. რომ შიმშილი ასცილებული იქნეს, პროფესორის აზრით, საჭიროა აღებულ იქნეს სესხი საზღვარ გარეთ ამერიკაში ხორბალის შესაძენათ.

სათბობ მასალის ნაკლებობა კავკავში. ჩრდილო კავკასიის გაზეთების ცნობით კავკავში სათბობ მასალის დიდი ნაკლებობაა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მოუსპო ელექტრ. ენერგიის მიწოდება გასართობ დაწესებულებებს.

საბჭოთა რუსეთმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ევროპის მთავრობებს: რუსეთის საბჭოთა მთავრობამ შეიტყო, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა სთხოვეს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რათა უკანასკნელთ მიიღონ მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბლოკადაში. ანტანტას არასოდეს არ გამოუცხადებია ომი რუსეთისათვის და არც ჰქონია გასამართლებელი საბუთები რუსეთის ტერიტორიების დაპყრობის შესახებ; მიუხედავად ყველა ამისა, ანტანტა მაინც განაგრძობს რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას და სხვა სახელმწიფოებსაც ამხედრებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ნეიტრალური სახელმწიფოები, ანტანტის გავლენას დაემორჩილნენ და შესწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ ეგრედ წოდებული ნეიტრალური სახელმწიფოები მიხვდებიან, რომ შეუწყნარებელია მათის მხრივ რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება.

ოსმალეთი.

ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობა. გაზ. „პეიამ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი განუცხადებია: ოსმალეთის ახალი მთავრობა სრულიად უპარტიოა და თავის მოქმედებაში იგი მხოლოდ ხალხის საერთო ნებასა და თანხმობაზე დაემყარება; მთავრობის სურვილია წარსდგეს საზავო კონფერენციის წინაშე, როგორც ხალხის საერთო სურვილის გამომხატველი ორგანო. საშინაო პოლიტიკა მიზნათ ისახავს წინა მთავრობის მიერ აღრეულ საზოგადოებრივ აზრის დამშვიდებას და მცირე ეროვნებათა უფლებების დაცვას. მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოიწვიოს პარლამენტი. მინისტრი დარწმუნებულია, რომ საზავო კონფერენცია სამართლიანათ მოეპყრობა ოსმალეთს, როგორც სახელმწიფოს, რომელსაც სულაც არ უნდოდა ომში ჩარევა და თავისი სურვილების წინააღმდეგ ამდენი უბედურება გადაიტანა. სანამ კონფერენცია იცნობდეს ოსმალეთის უფლებებს, მინისტრს საჭიროთ მიაჩნია მოკავშირეთა სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერა, რათა მათი კაპიტალის დახმარებით დამუშავებულ იქნეს ჯერ ხელ მოუკიდებელი აგარებელი ქონება ოსმალეთისა და ამ გზით გამოსწორდეს უკანასკნელის ფინანსიური მდგომარეობა; საერთო პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით მინისტრი დასკვნის, რომ მთავრობას გულდამშვიდებით შეუძლია უყუროს მომავალს.

ინგლისი.

ინგლისის განმარტება. თემთა პალატაში დასმულ შეკითხვაზე ინგლისის პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ, ალბათ, მალე იქნება მოწვეული ლონდონში მოკავშირეთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც რუსეთის საკითხს განიხილავს, მისი სიტყვით, ის პოლიტიკა, რომელიც ეხლა ბალტიის მხრეში ტარდება, არ არის მარტო ინგლისის პოლიტიკა, არამედ პოლიტიკა ყველა შეთანხმების სახელმწიფოებისა; ბლოკადა ფაქტიურათ არასდროს არ ყოფილა ჩვენი მიზანს შეადგენდა, სთქვა პრემიერმა, მხოლოდ დახმარება აღმოგვეჩინა ბალტიის მხარის პროვინციებისათვის ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკა

მადნეულობაში მომუშავეთა გაფიცვა. გაზ. „მესაჯერო“-ს ცნობით ამერიკის მადნეულობაში მომუშავეთა გაფიცვაში ჩარეია შეერთებულ შტატების მიწათ მოქმედებაში დაბანდებული მუშები, რომელთაც თავიანთ პროფესიონალურ კავშირის სახით განაცხადეს, რომ ეს გაფიცვა შემაფერხებელია წარმოებისა და რომ ისინი ამის გამო პროტესტს აცხადებენ გაფიცვის წინააღმდეგ. ამ განცხადების აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ყოფილ პრეზიდენტის ტაფტის განცხადება, რომელმაც სთქვა, რომ თუ გაფიცვა დაშვებულია ჩვეულებრივ დროს,—იგი დაუშვებელია მაშინ, როდესაც ძლიერი მუშათა კავშირები „ისწრაფიან ერს ყელში ეცენ და აიძულონ მწარმოებლები მათ მოთხოვნილებებს დაემორჩილონო“. ტაფტის აზრით, ასეთ შემთხვევებში მუშები ედარებიან მწარმოებელთა ტრესტებს, რომლებიც ბოლოვნურათ იწვევენ პირველ საჭიროების საგნების ფასების ზრდას და როგორც ასეთების, მათ წინააღმდეგაც აუცილებლათ საჭიროა ბრძოლა. მიუხედავათ ასეთი განწყობილებისა და მთავრობის გაფრთხილებისა, გაფიცვა მაინც დაიწყო. მთავრობა გაფიცვის წინააღმდეგია და შესაფერ ზომებს ღებულობს მის ჩასაშლელათ; არიან შტრეიკბრეხერები, რომელთაც მთავრობა ენერგიულათ უწყობს ხელს. სულ გაფიცულია 84 კავშირი, სადაც ნახევარი მილიონი მუშა ითვლება.

იუსტიციის სამინისტროში

ბოლშევიკების აჯანყების საქმების გამოძიებისათვის. იუსტიციის სამინისტროს წინადადებით, ქუთაისის გუბერნიაში მიემგზავრება ბოლშევიკების აჯანყების საქმის გამოძიების პირადად სახელმძღვანელოდ სასამართლო პალატის პროკურორი მ. ა. ტატიშვილი.

გიაურ არხის მამულში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიება. გიაურ არხის სახელმწიფო მამულში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა საქმის გამოძიება, იუსტიციის სამინისტროს წინადადებისამებრ, თფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებათა შეერთებულმა კრებულმა დაავალა ამავე სასამართლოს წევრს ილიაშენკოს, რომელსაც წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ გაემგზავროს საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად.

მომრიგებელ მოსამართლეთა კამერების დათვალიერება. ნოემბრის 24 ს, იუსტიციის დეპარტამენტის მმართველი გ. თ. ქორიძენი ა ქ. თფილისის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარის მ. ა. ტყემალაძის თანხლებით მიიდა ყოფილ მეორე სამომრიგებლო განყოფილების (მუხრანის ქუჩა) შენობაში მოთავსებულ მომრიგებელ მოსამართლეთა კამერების დასათვალიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 2 საათი იყოს ხსენებულ შენობაში მოთავსებულ ოთხ კამერაში მუშაობა შეწყვეტილი იყო, კანცელარიებიც მთლად დაცარიელებული იყო. ამის გამო დეპარტამენტის მმართველმა სასტიკი წყრომა გამოუცხადა ყრილობის თავმჯდომარეს და წინადადება მისცა მას, რათა დაუყოვნებლივ იქნას [illegible] სამართლიანობის სასტიკი ზომები იმისათვის, რომ ყველგან კანცელარიებში წესიერი საქმიანობა სწარმოებდეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ხოლო საქმეების გარჩევა აუცილებლივ იწყებოდეს არა უგვიანეს დილის 10 საათისა. მეორე დღეს, ნოემბრის 25 ს, დეპარტამენტის მმართველი დილის 9 ნახ. საათზე ესტუმრა ყოფილ პირველ სამომრიგებლო ნაწილში (ვერა, კროპინის შესახვევი) მოთავსებულ მომრიგებელ მოსამართლეთა კამერებს, მაგრამ აქაც საქმიანობა ჯერ არ დაწყებულიყო.

სახალხო გვარდიაში

20 ნოემბერს ნავთლუღის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის ბინაზე შესდგა გვარდიელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 120-მდე გვარდიელი კრებას დაესწრო აგრეთვე მთავარი შტაბის წარმომადგენელი ამხ. ალექსანდრე დგებუაძე. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: შტაბის რეორგანიზაცია და მიმდინარე კითხვები.

თავმჯდომარეთ იქნა არჩეული სარდიონ სურგულაძე მდივნად ე. თავამაშვილი. შტაბის რეორგანიზაციის შესახებ ამხ. სურგულაძე აკეთებს მოხსენებას, რომელშიაც აღნიშნავს შტაბის რეორგანიზაციის აუცილებლობას, რადგანაც ამ ჟამად შტაბის წევრთა საგრძნობი ნაწილი გასულია შტაბიდან, ხოლო მუშაობა კი თანდათან რთულდება.

კრებამ ერთხმად მიიღო ეს დებულება და დაადგინა უკამათოდ შეუდგენ შტაბის არჩევას. არჩეულ იქნა შტაბის წევრებად შემდეგი პირები:

სარდიონ სურგულაძე, მოსე ხაზიშვილი, გიორგი კვერნაძე, ერმილე თავამაშვილი, სანდრო ნადირაშვილი, ნიკიფორე შარაშენიძე, თომა საგრაშვილი. კანდიდატებად: გიორგი მაისაშვილი, სავლე მაისოვი.

სიგვიანის გამო კრებამ დაადგინა სხვა მიმდინარე კითხვების გადაჭრა მინდოს ახლათ არჩეულ შტაბს.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 20 ნოემბერს მოხდა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება ამხ. შ. ბუზარიაშვილის თავმჯდომარეობით. დღიურ წეს-რიგს შეადგენდა: 1) წარმოდგენის გამართვა,

კახეთი

I.

...მშვენიერო, შენ გეტრფი, შენი მონა, თუგული!

და განა შესაძლებელია, ადამიანი კახეთს ესტუმროს და იმის მშვენებას არ ემონოს, იმისი ტრფობით არ აინთოს!

როდესაც გაცილდებით მელაანს და ...ლაუშნისაკენ მოუხვევთ, თქვენს წინ გადიშლება თვალის მატყუებელი სურათი; ალაზნის ველი თავისი ზუმბე...ზი დარაჯებით.

მიდიხართ მოჯადოებული და სურათი თანდათან ფართოვდება, დიდდება, გათრობსთ, გაბრუებსთ და მთელ თქვენს ყურადღებას იპყრობს.

რა სევდითაც უნდა იყოთ შეპყრობილი, შვებასა გრძნობთ, ყოველივე ივიწყებთ: ყოველდღიური ვარამი, ფიქრი, ზრუნვა, საქმე; მთელს თქვენს არსებას მხოლოდ იშვიათი სანახაობა იპყრობს.

გულიც აქ იწევს, თვალიცა,
იქ რო მაღალი მთებია,
იმათ კალთა-ზემც მოვკვდები,
მათ ლოდი გულსამც მდებია!

ბუნების სიდიადეს მხოლოდ აქა გრძნობს ადამიანი; საქართველოს სილამაზეს—კავკასიურ სილამაზეს—მხოლოდ აქ ხედავს; სამშობლოსადმი ...ლიერესი სიყვარულის გამოჩენაც მხოლოდ აქ არის შესაძლებელი. ალბათ ...ით აიხსნება კახელების განსაკუთრებული სიმამაცე, კახური ომი. მტერმა ...ლუნა იმერეთი: მოჰგლიჯა და გადააგვარა მისი საუკეთესო ნაწილი—...ზისტან აჭარა ქობულეთი.

მტერმა გასტეხა ქართლი: გაავერანა ...რჩალო ჯავახეთ ახალციხე.

კახეთს ვერაფერი მოუხერხა, ე თათ...რი კახეთი დარჩა ბოლომდე გაუტეხელი, მხნე, გულადი, მებრძოლი თავის ...ისა. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს მტრის მიერ მოგლეჯილსა და დაგვარებულს.

ძველად იყალთოში აკადემია ყოფილა, ...ამ ალაგას დღეს ნანგრევებია.

ეს ნანგრევები გვეუბნებიან, რომ ...ველს დროს ახალგაზრდა ქართველები აქ მარტო მეცნიერებას კი არა სწავლობდენ, არამედ სიყვარულს მამულისადმი.

ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს მშვენება თქვენი იხილოს!

საქართველოს მთა გორათა შუა ბევრია ველი, მაგრამ ალაზნის ველი განსაკუთრებულია, იშვიათია: ის ველთა მეფეა, ფიქრის გასაშლელი, ოცნების საჯირითო, სიყვარულის გასაზრდელი. შუაში ალაზანი ჩახუტებია მას და გულს უკოცნის. მიდის ველი და მიჰყვება მას ალაზანი ხან ნელათ მოლივლივე, ხან ტკბილათ მოდუდუნე.

მიდიან ორივე, იშლებიან, ფართოვდებიან და შორს, შორს ცისა და დედამიწის საზღვარზე იკარგებიან.

დიდებულია ალაზნის ველი. ის მთელი საქართველოს ძუძუა. ის გხიბლავთ და თვალს კი არა ჰღალავს. ის ოცნებას იტაცებს შორს, როგორც წარსულისაკენ, ისე მომავლისაკენ. აქ არის დარჩენილი არხი—თამარის არხს უწოდებს ხალხი.

აქ უნდა გაჩნდეს ახალი არხი, ვინ იცის, ვის სახელს დაარქმევს მას ხალხი. ძველი და ახალი უნდა შეხვდნენ აქ ერთმანეთს, და ახალმა უნდა დაჩრდილოს ძველი.

ალაზნის ველი საქართველოს მასაზრდოებელი ბეღელია, ხოლო მარტო პურით სავსე კი არა—სილამაზითაც სავსე.

საქართველო შემკულია მთებით, მაგრამ მითხარით, სად არის ჩვენი მთები, ასე დიადი და მიმზიდველი, როგორც აქ? ზოგი გაწოლილი, ზოგი წამომჯდარი, სხვები დაყუდებული ან ამართული.

მთა მთას მისდევს, მწვერვალი მწვერვალს ამოსდგომია და ყველანი ერთად მიჯრილ-დარაზმულნი ალაზნის ველს მეფურის სილამაზით დაჰყურებენ და თან მისდევენ მას, არსად არ შორდებიან როგორც შეყვარებული რაინდი, და ორივე ერთად იკარგებიან შორს, შორს ცის ლაჟვარდში.

მისჯარებიან ცის კიდეს
კავკასიონის მდევები.

ზოგი ალაზნის ველზე გაწოლილა და მდინარის დუდუნს უგდებს ყურს, სხვები ცას მისწვდომიან, ანკარა ნაკადულებით საყვარელ ველს პირს უბანენ და

გულმკერდს ერთმანეთს აბჯენენ,
წარბშეუხრელად მდგარნია.

ხანდახან მათი სახე სპეტაკია, მზიარული, ზოგჯერ კი ჩაფიქრებული, მობურული:

ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შეედარება;
მალ მალე შავი ჯანღები
თავზე რომ დაეფარება?

კახეთის მთები მისი ბუნებრივი ჯარია, კახეთის საუცხოვო, დაუძლეველი სიმაგრე.

მიჩერებიხართ ამ მთებს და ასე გეგონებათ, რაღაც უხილავ ძალას ეს მთები საგანგებოთ აუმართავს აქ და გაუყოლებია ალაზნის ველისათვის იმის დარაჯათ და მფარველათ.

მთა და ველი ერთმანეთს ეჯიბრებიან სილამაზეში, ერთმანეთს შესტრფიან. მთა ველის მიჯნურია, მას თვალს არ აშორებს, მას არ შორდება არც ერთს წამს. მიცურავს ველი და მისდევს მას მთა.

შენი ვარ, შესძახის ქვევიდან ველი. შენი ვარ, დასძახებს ხოლმე ზემოდან მთა და აშრიალებს თავის ფერად ნაბადს

ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა არა მგონია!

ველი მთას იტაცებს, მთა ველს, მათ შორის დაუსრულებელი ლეკურია.

მთა თანდათან ძირს იწევს და იქ შორს ცის ტატნობზე გაეკვრის ველს, სამუდამოთ ჩაეკონება მას და ამის გულში იკარგება, დნება.

დიდებული მხარეა, საოცნებო სანახაობის პატრონი. აქ წარსული მღერის მომავლის დიდებას.

მე არ ვიცი, რა დროს უფრო ლამაზია კახეთი.

მაგრამ კახეთი ოქროს ფერი, როცა ველი ყვითელ კაბაშია გამოწყობილი და მთას კი ყვითელი ნაბადი შემოუსხავს და თეთრი ქუდი გვერდზე დაუხურავს, მინდორი კი ალაგ-ალაგ მწვანე სამოსელში ეხვევა,—კახეთი შემოდგომაზე საუცხოვოა.

აქ ფერადების სხვადასხვაობაა, აქ ფერების სიმდიდრეა და შეჯიბრებაა.

კახეთი მხიარული, კახეთი შეყვარებული, კახეთი მომღერალი, კახეთი ქეიფიანი, კახეთი გულუხვი, შეუპოვარი, მდიდარი და ამაყი განსაკუთრებით შემოდგომაზეა.

ნაშთი ძველის დიდებისა კახეთში განსაკუთრებით არის დაცული. ალაზნის გაღმა ვერ ნახავთ სოფელს, სადაც ძველი ციხის ნანგრევები არ იყოს, თვისი კოშკებით.

კახეთს წარსულის სული ამშვენებს, წარსულის სახე აქ კიდევ ცოცხლობს, კახეთის მთა და ველი წარსულზე ლაპარაკობენ.

მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით მეტყველია თელავი, რომელიც მთის ფერდობზე გადაშლილა, გასცქერის ალაზნის ველსა და იმის მთებს, გასცქერის და ვერ გამძღარა.

თელავში ყოველი ქვაც კი წარსულზე ლაპარაკობს.

აქ საუცხოვოთ დაცულია ძველებურ გალავანში ერეკლეს სასახლე, რომლის ერთ აწილში წმინდა ნინოს სასწავლებელია. სასწავლებელი გადაჰყურებს ბალკონიდან ალაზნის ველს. განსაკუთრებით დიდებული სურათი იშლება თვალ წინ სასწავლებლის აივნიდან, საიდანაც ალაზნის ველსა და კავკასიონის ქედებს თვალს ველარ აშორებს მაყურებელი. აქვე შაუფარებია თავი ჩვენს მხატვარს სიდამონ ერისთავს, რომელიც ამზადებს მრავლათ საუცხოვო ნახატებს ჩვენი ცხოვრებიდან და წარსულიდან.

სამწუხაროთ მასწავლებლობა იმდენ დროს ართმევს ნიჭიერ მხატვარს, რომ მას მეტათ მცირე დრო რჩება თვისი ნამდვილი მოწოდებისათვის.

მხატვარი ღირსია იმისა, რომ ის ქონებრივათ იყოს უზრუნველყოფილი და თავისი ნიჭით მხოლოდ სამშობლოს სადიდებლათ მუშაობდეს.

გალავანშივე დაცულია ძველი სემინარიის შენობა, სადაც დღეს ვაჟების გიმნაზიაა. ორ სართულიან ძველ შენობაში ოცდა ოთხი ოთახია, მაგრამ უმეტესობა მეტათ პატარაა და ხუთი საუკეთესო ოთახი ეპისკოპოსს უკავია.

სასწავლებელი და სულიერი მამის ბინა ერთათ, ერთ შენობაში ყოვლად შეუსაბამოა.

სასწავლებლის ქვედა სართულიდან გაყვანილია უძველესი დროიდან გვირაბი, რომლის კიბეს 72 საფეხური აქვს. კიბე ჩადის ძირს საუცხოვო წყაროსთან, რომელიც ისე მოჩუხჩუხებს დღესაც, როგორც ამ ორას-სამასი წლის წინათ.

წყაროც გვირაბშია მოთავსებული და მტრის თვალისაგან დაფარულია.

თელავშივე ნახავთ თქვენ წარსულის ცოცხალ მოწამეს—უზარმაზარ ჭანდარს, რომელსაც ირგვლივ 14 არშინი აქვს და რომლის თვითეული ტოტი მსხვილ ხეს წარმოადგენს.

ამ ჭანდარის ქვეშ ომ გადახდილ ლაშქარს ზეიმს გაუმართავდენ ხოლმე და გამარჯვებულნი კახურით იგრილებდენ გულს.

ვინ იცის რამდენი ქირისა და ლხინის, რამდენი ცრემლისა და სისხლის, სასოწარკვეთილებისა და სიხარულის მომსწრე არის ეს ჭანდარი, რომლის თავზე მრავალ ას წელს გადუვლია, მაგრამ მაინც მტკიცეთა და ამაყად დგას და აშკარათ ამბობს: სიბერე ჯერ შორს არის, რამოდენიმე ას წელიწადს კიდევ გადვივლებ თავზეო.

ვიდექი ამ უკვდავი, უზარმაზარი ხის ძირას და განსაკუთრებულის სიცხოველით ვგრძნობდი ჩვენი სიცოცხლის წუთიერებასა და არარაობას.

თელავის სილამაზეს სხვათა შორის მრავალ თვალა წყაროები შეადგენენ. ისინი თვისი ანკარა, ცივი და სუფთა წყლით მეტად სიმდიდრეს წარმოადგენენ კოპწია ქალაქისათვის, ოღონდ ჯეროვანად უნდა მოწყობა და გამრავლება.

ბუნებრივი სიმდიდრის მხრივ კახეთი სრულებით შეუსწავლელი და გამოუკვლეველია. აქ არის ნავთის ნიშნები, ქვანახშირი.

მაგრამ კახეთის სიმდიდრის სულს ვენახი შეადგენს. კახეთი ხილის ქვეყანაა, ბოსტნეულობის. მიეცით მას ცოდნა, განათლება, გზები და აქ მეურნეობის ყოველი დარგი აყვავდება, მაგრამ კახეთი განსაკუთრებით ღვინის ქვეყანაა და თვალ გადუწვდენელ სივრცეზე გადაშლილი ვენახები მეტად ლამაზ სურათს წარმოადგენენ.

კახეთის ვენახს უმთავრესი მტერი სეტყვაა. სიცივე მას იმდენად ვერას აკლებს, როგორც იმერეთში.

წელს იმერეთში არ მოსულა ღვინის ჩვეულებრივი მოსავლის მეათედი. კახეთში კი ჩვეულებრივზე ცოტა ნაკლებია დღეს, სამაგიეროდ ღვინო უფრო კარგი ღირსებისა არის.

კახეთის ვენახს ემუქრება საშინელი მტერი—ფილოქსერა.

1906 წლის გამოკვლევას კახეთში ფილოქსერა ვერ აღმოუჩენია, დღეს კი ფილოქსერა საკმაოთ გავრცელებულა. ცხადია, ეს სენი დიდი ხნის შემოტანილია კახეთში, მაგრამ ადრე ვერ შეუმჩნევიათ დღეს ის თანდათან იკიდებს ფეხს და ბევრგან ანადგურებს ვენახებს.

თუ წინეთ ფილოქსერასთან ბრძოლას ხალხი მტრულათ უხვდებოდა, დღეს ამბობს, რაც გინდათ ის უყავით ვენახს, ოღონდ გადაგვარჩინეთ ამ უბედურებასო.

რაც უფრო გავრცელდება ფილოქსერა, ღვინის მოსავალი კახეთში თანდათან იკლებს და თხუთმეტ ოც წელიწადში დღევანდელი ვენახი კახეთში სრულებით მოისპობა სპეციალისტების აზრით.

სად არის ხსნა?

ამერიკულ ვაზზე კახური ლერწის დაძყნაში.

რაც ადრე შეუდგება ხალხი და მთავრობა ამ საქმეს, მით უმჯობესია. ეს უნდა იკისრონ მიწათ მოქმედების სამინისტრომ და ერობამ.

საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს კახეთის სახაზინო ვენახების ცენტრალური საწყობი წინანდალში. როდესაც მე საწყობს ვათვალიერებდი და ვხედავდი, რომ ყოველივე თავის ალაგას იყო, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საწყობის მუშებს ამ რევოლიუციის წლებში მეტად დიდი შეგნება გამოუჩენიათ, რომ ხელი არაფრისათვის უხლიათ და ყოველივე დაუცავთ და შეუნახავთ. შვიდ-რვა წლის ღვინოა აქ და კოლლექციებში ხომ ოცდა-ათი წლისაც.

სხვაგან ვინ დატოვებდა ამ ასეთი დიდი რევოლიუციისა და ნგრევის დროს?

და თუ კახეთში ხელუხლებლათ დარჩა ყოველივე და დღეს ჩვენი რესპუბლიკის ხელში მარტო ღვინის სახით ას მილიონზე მეტია დღევანდელ ფასებში, ამაში მარტო მუშების შეგნებას კი არ უნდა ვუმადლოდეთ, არამედ იმ ამხანაგების თავგანწირულ მუშაობას, რომლებიც მაშინ იქ მეთაურობდენ რევოლიუციას.

ბევრია გაკეთებული, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მეტათ მხნეთ და ენერგიულათ მუშაობს თელავის სამაზრო ერობა. მაგრამ ერობის შესახებ შემდეგ წერილში მოგილაპარაკოთ.

ეგ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) მოხსენება მეორე კოლექტივიდან; 3) თფილისის დაცლის შესახებ და სხ. კოლექტივიდან მოხსენება გააკეთა ამხ. შ. გომართელმა, რომელმაც სხვათა შორის კრებას გააცნო მეორე კოლექტივის მიერ მიღებული პარტიული ერთდროული გადასახადი: ქალაქებში 10 მანეთი და სოფლად 5 მანეთი. მცირე კამათის შემდეგ კოლექტივის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. აირჩა წარმოდგენის გამმართველი კომისია შემდეგ ამხანაგებისაგან: შ. გომართელი, ბუზარიაშვილი, ნ. იტრიაშვილი, ა. ტალახაძე, ჩხეიძე, დავლიანიძე, აბაშიძე, თ. ერაძე, მ. პეჭინაძე, და სხვა. ამხ. გომართელს დაევალა მოიწვიოს შაბათისთვის მსახიობი ნ. გოცირიძე და ივ. გომართელი, უკანასკნელი ლექციის ან მოხსენების გასაკეთებლად.

შ. გ.

ბაკურიანი. ნოემბრის 16 ს შესდგა კრება ს. ს. დ. მ. პ. ბაკურიანის საზოგადოების ორგანიზაციისა. თავმჯდომარეობდა ვ. ბირკაძე. კრებამ დაადგინა შემდეგი: ჩვენ, ბაკურიანის ორგანიზაციამ დროზედ მივიღეთ ზომები კომუნისტების გამოსვლის და დენიკინის აგენტების მოქმედების შესახებ. მაგრამ თუ დროზე ვერ აილაგმა, ეს იმის ბრალია, რომ იურიდიულ საბუთებს მოითხოვდენ.

კრება ადგენს, მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ დეზერტირები წავიდნენ თავიანთ ნაწილებში და ამასთან ერთად ეთხოვოს მთავრობას მიიღოს დროზე შესაფერი ზომები.

კრება აღნიშნავს, რომ იყო შემთხვევა, როცა გლეხებმა გასცეს ყაჩაღები, რომლებიც დაატუსაღეს და გამოტყდენ კიდეც, მაგრამ გამომძიებელმა იგინი გაუშვა, მიზეზათ ის დაასახელა გამომძიებელმა, რომ ხელის დამდები არ არისო რადგანაც ეს გარემოება იწვევს ყაჩაღების გამრავლებას, ამისათვის ეთხოვოს მთავრობას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ მოვლენას.

მდივანი ალ. ჟაგრელაშვილი.

ჯავახეთი. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოწყობა დავიწყეთ ჯავახეთში გასულ ზაფხულს თიბათვეში. თუ სადმე კი შრომა ყოფილა საჭირო პარტიული ორგანიზაციების დაარსებისათვის, ათჯერ მეტი იყო საჭირო ჯავახეთში. სომხობა მოწამლული იყო დაშნაკელების მიერ. ბრძოლა ამ უკანასკნელებთან და მასსიდან გამონახვა იმ ელემენტებისა, რომელიც მოისურვებდა ს. დ. პარტიაში შემოსვლას, ძნელი იყო ენის უცოდინარობის გამო. მართალია, იქ მუშაობდენ სომეხი ამხანაგები, მაგრამ ცოტა ხნით და შემდეგ წავიდნენ. მიუხედავათ სიძნელისა თავი მოვუყარეთ გაბნეულ თანამგრძნობთ და ამ ჟამათ ჯავახეთის მაზრაში უკვე მუშაობენ ჩამოყალიბებული ორგანიზაციები ქართველ სომხებში. მუსულმანებში ჯერ-ჯერობით არ არის ორგანიზაციები. ყველაზე კარგათ მუშაობს ეშტიის ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგია ამხ. პოლოს ტერპოღოსოვი. შემდეგ ბარალეთის, ხიზაბავრის, ალასტანის, აენიასი, განძის და კარტიკამის. მოხდა ორგანიზაციების კრებები ყველგან. ზოგიერთ ორგანიზაციაში მოხდა რეორგანიზაცია. დაიწყო პარტიის წევრთა რეგისტრაცია და საწევრო ბარათების მიცემა. ბეჭედი აქვს მხოლოთ სამაზრო კომიტეტს და მხოლოდ მისი სახელით ეძლევა მაზრაში პარტიის წევრთ საწევრო ბარათები. 2 ნოემბერს სამაზრო კომიტეტის კრება მოხდა, სადაც უმთავრესი საგანი მსჯელობისა იყო პარტიული პროპაგანდა მაზრაში. გამომუშავებული იქნა ზოგიერთი ზომები პროპაგანდის გასაძლიერებლათ. ერთხმად იქნა აღიარებული გამოინახოს გამოცდილი სომეხი პროპაგანდისტი და მუდმივი მუშაობისათვის გამოიგზავნოს. წინაამდეგ შემთხვევაში რაიმე დადებითი მუშაობა სომხის მასსაში შეუძლებელია და ის ორგანიზაციები, რომლებიც დღეს არსებობენ, გაქრებიან. საჭიროა ცენტრალურმა კომიტეტმა და მასთან არსებულმა სომხურმა სექციამ მიაქციონ ყურადღება და გაუგზავნონ ჯავახეთს ერთი სომეხი პროპაგანდისტი მაინც, რომლის შესახებაც არა ერთხელ შუამდგომლობდა ახალქალაქის ორგანიზაცია.

მოხეტიალე რაჭველი.

მუშათა შორის

ხაშური. აქ არსებობს რკ. გზ. მუშათა კლუბი, მაგრამ სამწუხაროდ როგორც სჩანს, მას დღეს პატრონი არა ყავს. აგერ სამი ოთხი წელია რაც ხაშურის სცენაზე რიგიანათ წარმოდგენები არ მიდის, გარდა იმ ორ იოდე წარმოდგენებისა, რომლებიც აქ გამართეს ჩამოსულებმა. დღეს კლუბის პატრონი ხაშურის რაიონის რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური გამგეობა, რომელმაც შარშან მოიწვია დრამატიული წრის კრება, სადაც იქნა არჩეული გამგეობა. გვეგონა, რომ დრამატიული წრის გამგეობა, სასურველ ნიადაგზე დააყენებდა საქმეს, მაგრამ მას სრულებითაც არაფერი გაუკეთებია. დაიდგა ორი თუ სამი წარმოდგენა და კვლავ ყველაფერი მიყუჩდა. რას მივაწეროთ ეს? კლუბი საუცხოვოთაა მოწყობილი და სცენის მოყვარენიც არიან. დღეს ვინ არ გინდათ ხაშურის სცენაზედ წარმოდგენას არ მართავდეს. ვინც მოისურვებს ყველა მართავს წარმოდგენას თავის სასარგებლოდ. საზოგადოება ბრმა იარაღათ გაუხდიათ, რადგანაც იციან, რომ მას უთეატროთ ცხოვრება არ შეუძლია და არავინ არის, რომ მათ გახსნილ მადას ბოლო მოუღოს. საქმე ის კი არ არის, საზოგადოების მოთხოვნილება შენს სასარგებლოთ გამოიყენო და რაც შეიძლება მეტი ფული მოხვეჭო. საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ ისეთი საზრდო, რომელიც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას და არ უნდა გაუმასპინძლდეთ ისეთი თამაშით, როგორითაც უმასპინძლდებიან დღეს მას ხაშურის სცენაზე.

მაგალითად ავიღოთ 22 ნოემბრის წარმოდგენა, რომელიც გამართა ხაშურის გიმნაზიის დრამატიულმა წრემ. დადგმულ იქნა ტ. რამიშვილის დრამა „მეზობლები“. დიდათ სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდობა ელტვის ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათ უნდა მართონ ისეთი წარმოდგენები და ითამაშონ ისეთი პიესები, რაც მათ ძალ-ღონეს შესწევს, თორემ ისეთი პიესების დადგმა, როგორიცაა „მეზობლები“, ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა რაიონული გამგეობა მოიწვევდეს დრამატიული წრის კრებას და აირჩევდეს ახალ გამგეობას, რომელიც მალამოს დასდებს ამ ჭრილობებს და ბოლოს მოუღებს ასეთ არეულ დარეულობას ხაშურის სცენაზე. მართალია, დღეს ამ კლუბს მუშათა კლუბი ჰქვია, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ იქ მუშებს ვერასოდეს ვერ ნახავთ. სასურველია იმართებოდეს ლექციები და იდგმებოდეს იაფ-ფასიანი წარმოდგენები, რომ მუშებს საშუალება მიეცეთ იქ დასწრებისა. იმ დროს, როდესაც ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ მუშების გონებრივ განვითარებაზე და სულიერ საზრდოს მიწოდებაზე, ამ დროს ჩვენი ამხანაგები გულგრილათ უყურებენ საქმეს და მით დიდ ცოდვას იდებენ მუშების წინაშე.

მეტი ენერგია და საქმიანობა, ამხანაგებო!

მეხი.

ხადგ. ხუმბათოვო. სუმბათოვის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მოხდა 18 ნოემბერს ორივე „სმენის“ მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება. თავმჯდომარეთ იქნა ერთხმათ ამორჩეული ი. თხელიძე, მდივნათ პ. კურტანიძე. დღის წესრიგში იდგა: კრებების დღის დანიშვნა და მოხსენება ამბოხებაზე. კრებამ ერთხმად დაადგინა კრებები ხდებოდეს სამშაბათობით კვირაში ერთხელ. ამბოხებაზე მოხსენებას აკეთებს ამხანაგი ევტიხი სირაძე. ამხ. ე. სირაძემ აუხსნა მუშებს, თუ რა დამღუპველია მუშათა კლასისთვის შინაური ომი და ანარქია, ვინ ღებულობს მონაწილეობას შიგ ბოლშევიზმის სახით. უმრავლესობა ყაჩაღები, დეზერტირები და შეუგნებელი ოსობა. კრება ღებულობს ერთხმად შემდეგ რეზოლიუციას: ჩვენ, სუმბათოვის ხე-ტყის სახერხ ქარხნის ორივე „სმენის“ მუშები და მოსამსახურეები ვართ და ვიქნებით დამცველი და ერთგული ჩვენი დემოკრატიული მთავრობისა. მშვიდობიანი და პატიოსანი შრომით ვივლით წინ ეკონომიურად და კულტურულად მოსაღონიერებლად. ვიქნებით დარაჯი ურა-ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც უნდათ თავიანთი გამოსვლებით არევ-დარევა, სისხლის ღვრა და ანარქია გაამეფონ ჩვენში

X.

პროვინცია

ქართლი. ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ პრესას, ის დარწმუნდება, რომ დასავლეთ საქართველოს ყოველივე ცხოვრება ფართოდ შუქდება პრესაში და ამით მთელ მოწინავე საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდამ ადევნოს თვალყური ყოველივე მოვლენას და შესაფერისი პასუხი და აქტივობა გამოიჩინოს. ეს არ ითქმის ქართლზე. მისი მრავალფეროვანი ცხოვრება ყოვლად გამოურკვეველია და მის გამორკვევას არც არავინ სცდილობს. თუ სადმე პრესაში გამოჩნდება კანტი კუნტად მისი ცხოვრება, ესეც მკრთალად. ან თუ გაუღიმებს ბედი ქართლს და ვინმე ესტუმრება მოხსენების გასაკეთებლად, ესეც მხოლოდ არა სცილდება გორსა და ცხინვალს, სადაც ის აფარებული ქართლის სოფლები იკვებებიან მხოლოდ ჭორებით. როგორც მკითხველს მოეხსენება, ქართლის თავადები რევოლიუციის დაწყებამდე, ისევე იღებდენ ლალა კულუხს, როგორც ძველ ბატონყმობის დროს. დასავლეთ საქართველოში კი ადრე განთავისუფლდენ გლეხები ბატონობის უღლიდან, რამაც ხელი შეუწყო მათ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას და აგრეთვე გამოიწვია მათი კარში გამოსვლა და სწავლა განათლების მიღება.

ქართლის თავადები, რომლებსაც ჯერ ისევ მაგრათ აქვთ გამჯდარი ძვალში და რბილში უდარდელი ცხოვრება, ვერ შერიგებიან ჩვენ დემოკრატიულ წესწყობილებას და მის კანონებს. და აი, ეხლა, როდესაც კომისიები უნაწილებენ გლეხებს მათ მიწებს, ისინი უკანასკნელ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე გამოიწვიონ არეულობა და ხელი შეუშალონ მუშაობას. ოსებს ეუბნებიან, რომ ქართველები უკვე შეიარაღებულები არიან მთავრობის წინააღმდეგ და თუ მხარს არ დაუჭერთ, თქვენზე წამოვლენ სამრადო, ასევე ეუბნებიან ქართველებსაც და ამ ორ მეზობელ ხალხს, რომლებსაც უცხოვრიათ საუკუნოებით მეგობრულათ, ურევენ თავ გზას და უნდათ რომ ერთმანეთს დაეჯახონ, ამღვრიონ წყალი და თევზები დაიჭირონ.

ამას ზედ ემატებიან სხვადასხვა რეაქციის აგენტები და აგრეთვე ჩარჩები და ვაჭრები, რომლებიც არა ნაკლებ სწევენ ქართლის ცხოვრებას თავიანთ სასარგებლოთ; მაგალითად, ამ რამდენიმე კვირის წინათ ა. ლომთათიძემ გააკეთა მოხსენებები გორში და ცხინვალში. მისი მოხსენებები შეეხებოდა მომენტს და სავსებით აშუქებდა ჩვენი რესპუბლიკის შინაურ და გარეშე ცხოვრებებს, რაც ასე ესაჭიროება ქართლის გლეხობას, მაგრამ, სამწუხაროთ, მისმა მოხსენებამ გამოიღო სულ უარყოფითი ნაყოფი. ვაჭრებმა და ჩარჩებმა, რომლებიც ბლომათ დაესწრენ მის მოხსენებას, სოფლებში სავაჭროსთან ერთად გადიტანეს სულ უკუღმა მოხსენება და არწმუნებდენ ხალხს, მთავრობის კაცმა გორში და ცხინვალში სთქვა, რომ მალე სუყველაფერი დაიკეტება, ბოლშევიკები შემოგვერტყმიან და საქონელი თუ არ იყიდეთ ეხლა, მერე იქნება თვალიც ვერ დაკრათო. ხალხი კი ამბობს, რომ ნეტა ჩემი ყურით გამეგონა სუყველაფერი იმ მთავრობის კაციდანაო.

ამიტომ ქართლის დღევანდელი მდგომარეობა იმას ღაღადებს, რომ ამ პროვოკაციას ჩამოეხადოს ნიღაბი, ხალხმა დაინახოს ჩვენი ნამდვილი ცხოვრება. ამისათვის კი საჭიროა დაიგზავნოს სოფლებში მომზადებული პირები, რომლებიც მუდმივათ იტრიალებენ ხალხში. მათ აუხსნიან ჩვენი უზენაესი ორგანოს, დამფუძნებელი კრების საქმიანობას და აგრეთვე ჩვენი დემოკრატიული მთავრობის მოქმედებას, როგორც შინაურ ისე გარეშე საქმეებში, ეს კი ხელს შეუწყობს გლეხობის გამოფხიზლებას, რაც თავდებია იმის, რომ „ბნელი ძალები“ ველარ გამოიყენებენ მათ ბრმა იარაღათ.

ქართლი მეურნეობის მხარეა: აქ უხვათ მოდის ხილი, პური, ყველა ბოსტნეულობა და უმთავრესათ ბევრი კომბოსტო. წელს ხილს და პურს მოსავალი არა ჰქონდა, მხოლოდ კომბოსტოს შეჰყურებენ გლეხები, რომელსაც არ ასაღებს ჩვენი რესპუბლიკის ბაზარი და მუდამ გადის საზღვარ გარეთ. წელს ამის საშუალებაც მოესპოთ, რადგანაც სატარიფო პალატას ის პირველ მოთხოვნილების საგნათ ჩაუთვლია და მთავრობის დადგენილებით არ შეიძლება რესპუბლიკის ფარგლებიდან კომბოსტოს გატანა. ეს კი დიდ უკმაყოფილებას იწვევს ქართლის გლეხობაში, ამით კი სარგებლობენ „ბნელეთის მოციქულები“ და სახელს უტეხავენ ადგილობრივ ერობებს და საერთოდ ჩვენ დემოკრატიულ წესწყობილებას. ამიტომ აუცილებლათ ამ გარემოებას უნდა მიექცეს ფიცხელი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

არა ნაკლებ საყურადღებოა ქართლის მღვდლების საქმიანობა. ისინი ისევ ძველებურათ იღებენ დრამას, რამდენიც მოისურვებათ, ქელეხებს და წლის წირვებს, ამ გლეხობის დამღუპველ მოვლენებს, ხომ საზღვარი აღარ აქვს ქართლში, ვინც ამის წინააღმდეგ გლეხობაში იტყვის რასმე, მას მღვდლები ნათლავენ ურჯულოთ და ხალხის მტრათ.

საჭიროა არის გორის ერობამ ყურადღება მიაქციოს ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც როგორც ძველი სამოსამართლოს ბოქაული, ისევ ძველებურათ იქცევა, არავითარ სათანადო დარიგებას და განმარტებას ის არ აძლევს და გლეხები, რომლებიც ფიქრობენ, რომ დემოკრატიული წესწყობილება მას მოაშორებს, ადგილობრივ წურბელა „ადვოკატების“ ხელში სცვივიან, რადგანაც მომრიგებელი მოსამართლე დარიგების მაგიერ იმათკენ გაუშვერს ხოლმე ხელს.

ი. მაშოშვილი.

სოფ. ქვემო-ჭალა (ქართლი). 13 ნოემბერს მოხდა ქვემო-ჭალის თემის გამგეობის და ყველა ადგილობრივ-რაიონულ დაწესებულებათა წარმომადგენელთა შეერთებული კრება. დღიურ წესრიგში იყო სოფლის ყარაული და მოხსენება მომენტის შესახებ. თემის გამგეობის წევრმა გიორგი ჯაბაურმა და რაიონული სოც. დემ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნიკა თავშავაძემ გააკეთეს მოხსენებები მომენტის შესახებ. სოფ. ყარაულის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. ყანჯარაშვილმა.

კრება საჭიროდ სცნობს ღამის ყარაულის მოწყობას სოფელში უბნეულად, მისი მოწყობაც ევალებათ უკვე არჩეულ კაცებს. ყარაულობა ყველა მოქალაქეებისთვის სავალდებულოა მორიგეობით. ამ დადგენილების შემდეგ კრება გადავიდა სწავლა განათლების საკითხზე. სიტყვას იღებს დასწრებული სკოლებისა ინსტრუქტორი ალ. გაჩეჩილაძე, აღუთქვამს, რომ ახლო მომავალში მოაწყობს რაიონის სასწავლებლებთან მოზრდილთათვისაც სწავლას და მოითხოვს მოწინავე ძალების დახმარებას.

ხანდრო ფრუიძე.

სოფ. ეწერი. (სუჯუნის თემი). როგორც სხვა სოფლებში, წელს მოსავალი აქაც მეტად ნაკლებია. ეწერლების მასაზრდოებელი ანჯილი (ასე ეძახიან რიონს გაღმა მდებარე საყანე ვებერთელა მინდორს) ადიდებულმა რიონმა ხენა თესვის დროს გაზაფხულში რამოდენიმეჯერ გადალეკა. არ დარჩენილა ისეთი მუშა, რომელსაც მეორე მესამეჯერ არ ჰქონდეს ყანა დანათესი და იგიც ივლისში. სტველი დაგვიანდა. ყოველგან ტეხვა-კრეფვა გათავებულიყო, ხოლო ჩვენში ლურჯი ყანა ისევ ბიბინებდა. გავიდა ოქტომბრის მშვენიერი დღეები, და მხოლოდ ახლა დაიწყეს მოწევა. არც ახლა გაუღიმა მუშას ბედმა. აგერ ერთი კვირაა რაც გადუღებლივ წვიმს. ჩვენი უვარგისი გზები სულ ერთიანად დაიქცა. ბედაურიც კი ვერ დაიძრევა. დარჩა მინდვრად წამოყრილი კალოებით სიმინდი და ჩალა. ვის შეუძლია მათი გადმოზიდვა 7—8 ვერსზე ასეთ გზებში! უკვე შორ მიდამოებში გაშვებული ჯოგი ესევა ობოლ კალოებს. ამ უბედურებას დღეს რიონის გადასვლაც მიემატა. აბა რას დაინდობს აფორიაქებული მდინარე მუშის ნაოფლარ ნაკვდავს, მთელი წლის იმედს და რათ დაიზოგება მისი წალეკა-განიავება! თუ რამე ჯოგს გადაურჩა აზობოქრებული მდინარე ალბათ შავ ზღვას მიართმევს ძღვნად. რიონს რაიმე საშველი რომ დადგომოდა ეს ასე არ იქნებოდა.

ნ. ბუბუ—ლი

შორაპნის მაზრაში წვრილი ერთეულები დღემდე არ შექმნილა. ეხლა კი მის შესაქმნელად გაორკეცებულ ენერგიას ხმარობს შორაპნის სამაზრო ერობა.

პირველი თემი, რომელიც შეიქმნა მაზრაში გახლავთ „შორაპნის თემი“. 23 ნოემბერს მოხდა 1-ლი ყრილობა ხსენებულ თემის ხმოსნებისა, რომელსაც დაესწრო სამაზრო ერობის თავმჯდომარე კ. ბუაჩიძე და სხვა გარეშე საზოგადოება.

კ. ბუაჩიძემ ვრცლად გააცნო ხმოსნებს თემის დანიშნულება, უფლება და ფუნქციები მისი. რის შემდეგაც მოხდა საბჭოს პრეზიდიუმის და თემის გამგეობის არჩევნები.

ყველა წევრები გამგეობისა ს. დემოკრატები არიან (სულ ხმოსანი 22 ამათში 4 ნაც.-დემოკრატები, დანარჩენი სოც. დემ.)

პირველი ყრილობა ხმოსნებისა ძალიან ცივათ ჩატარდა. სერიოზული შეკითხვები და ცხარე მსჯელობა ამა თუ იმ კითხვაზე არ ყოფილა. პარტიულ კინკლაობას ადგილი არ ქონია, რაც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს.

შალ. ფუთიშვილი.

განცხადებანი

კახური ღვინო
ვედრო 250 მანეთათ
იყიდება გ. ელაღოვის
ღვინის სავაჭროში (მიხეილის პრ. № 65)
იქვე ყიდულობენ ღვინის ბოთლს 4 მან.
(3114—1—1)

ექიმი ბ. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ № 116. ტელ. 14—28

ექიმი არუთინოვი.
დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ საათ. ვენერიულ სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606“ და „914“ შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2318)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი — ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკეიზერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კიღიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუმურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ნ. დ. ტუმანიშვილი
იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბავშვო და ქალთა სნეულებით ყოველ დღე დილის 11—1 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12. (თ.—3023)

ოზურგეთში
ექიმი ხ. გ. აბაშიძე
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ეკიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაიშვილი სახლში.

ექიმი ა. ლორთქიფანიძე
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ეკიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და პაკების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი გ. [illegible]
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბილგის (№ 1) ქუჩების კუთხე [illegible] საღამოს 5—7 საათამდე (2925)

[illegible] სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი შ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible]-ხახანაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი იოსებ რამდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ს. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ჩასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლნიცე და არსენალი, ტუბერკულინით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, წყალების ყულოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—93.

ექიმი შ. ბ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64, (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი შ. ბოკერია
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულებების და საკეიზერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

რეალური სასწავლებლის დარბაზი
(სამოსწავლო შესახვევი)
შაბათს, 29 ნოემბერს შესდგება **საღამო**
თფილისის რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.
მონაწილეობას იღებენ: ბეჟანიშვილი, ბაუერ-ზაკსი, ვაკარეცი, გლაზი, ინაშვილი, ევრეინოვი, თ. ძნელაძის ასული, სარაჯიშვილი, პერსიანი, ლელი ჯაფარიძე, პაოლო იაშვილი.
კონცერტის შემდეგ ცეკვა.
საღამოს დასაწყისი 9 საათზე.
(3118—1—1)
დიასახლისი საღამოსი ქ ნი მდივანი.

ქუთაისის და მისი გუბერნიის
საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ქ. ქუთაისში პირველ დეკემბრიდან აარსებს
საბუღალტრო ერთ წლიან საღამოს კურსებს.
ლექტორებათ მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლით აღჭურვილნი გამოცდილი სპეციალისტები. კურსების კანცელარია მოთავსებულია აზოვო-დონის ბანკის ბინაზე.
(3079—2—2)
კავშირის მდივანი ი. ურუშაძე.

გამოვიდა და იყიდება
საქართველოს კედლის
კალენდარი
1920 წლის.
ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენაზე
საზოგადოთ კალენდრის ხელმძღვანელობა და რედაქტორობა იკისრა ცნობილმა კალენდრის შემდგენელმა ბატონმა
გრიგოლ ჩარკვიანმა.
კალენდრის ფურცლების უკანა გვერდზე მოთავსებული იქნება: ბრძნული თქმულებანი და აზრები, ანდაზები, ლექსები, ნაკვესები, მოსწრებული სიტყვები, მინიატიურები, არაკები და სახუმრო ამბები. ამ განყოფილების რედაქტორობა იკისრა ბ-ნმა თაგუნამ (შ. შარაშიძე).
კალენდრის სომხური განყოფილების რედაქტორობა მინდობილი აქვს ბ-ნ ჩიმიშკიანს.
კალენდრის თათრული განყოფილების რედაქტორობა მინდობილი აქვს ბ-ნ ახუნდ მამედ გასან მავლა ზადეს.
კალენდრის გარე კანზე და ზედა პირზე მოთავსებული იქნება სურათები საქართველოს ცხოვრებიდან. სურათები დაიბეჭდება ცარცის ქაღალდზე (меловая бумага) ექვსფერი საღებავით ბიჩოვის ლიტოგრაფიაში.
კალენდრის დაკვეთა შეიძლება ალ. არაბიძის და ამხ. გამომცემლობის წიგნების საწყობში: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქუჩა) ქართულ ქარვასლაში; ეზოში, მარჯვნივ № 25.